



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის
შესახებ

ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი) და
კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2025 წლის 10 - 11 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2025 წლის 29 სექტემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სეიფედინ კადრი, ნოროფი - ნორვეგია და LAU-ლიბანი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი იაშვილი, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯოლია, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად	კომპიუტერული მეცნიერება	კომპიუტერული მეცნიერება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Computer Science	Computer Science
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის ბაკალავრი	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი - 0613	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი - 0613
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება		
სწავლების ენა	ინგლისური	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #1172267, 27.09.2022წ.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა მოქმედებს 2011 წლიდან. პროგრამამ რეაკრედიტაცია გაიარა 2021 წელს და სტუდენტებს ანიჭებს ინფორმატიკის ბაკალავრის ხარისხს. პროგრამა აგებულია ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემაზე (ECTS) და წარმოადგენს კომპიუტერულ მეცნიერებაში მყარ აკადემიურ საფუძველს. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე, თანამედროვე გამოწვევებისა და სტუდენტების უკუკავშირის საპასუხოდ, შემუშავდა კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა. იგი მოიცავს დამატებით სავალდებულო და არჩევით კურსებს, კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებლებს, ძლიერ ტექნიკურ ბაზას და ინგლისურენოვან სასწავლო რესურსებს. პროგრამა ასევე ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე, ეროვნული და საერთაშორისო პროექტების ინგლისურენოვანი სწავლების შესაძლებლობების მეშვეობით.

ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგობრივ მახასიათებლებს, მოიცავს 240 ECTS კრედიტს: 200 სავალდებულო, 30 არჩევით და 10 თავისუფალი კომპონენტის კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს ლოგიკურ პროგრესს, კომპეტენციების განვითარებას და პრაქტიკულ სწავლებას პროფესიული პრაქტიკის მეშვეობით. პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას, კვლევას და პროგრამის განხორციელებას.

რეაკრედიტაციის მიზნით, კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განახლდა, რათა შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგის სტანდარტებს და სრულად აკმაყოფილებდეს „კომპიუტერული მეცნიერების – 0613“ აღმწერს. პროგრამა შედგება 120 ECTS კრედიტისაგან: 100 სავალდებულო (მათ შორის 30-კრედიტიანი ნაშრომი) და 20 არჩევითი კრედიტისაგან. პროგრამა ხელს უწყობს კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას და უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას კვლევაში შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ, რაც სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს სწავლების, კვლევისა და სხვა მოვალეობების წარმატებით განხორციელებას.

▪ აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის შეფასება განხორციელდა 2025 წლის 10 - 11 სექტემბერს, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. პროგრამის შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტის შედეგად. ადგილზე გამართულ გასაუბრებებს ესწრებოდნენ ქართველი ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები, ასევე, ექსპერტთა ჯგუფის უცხოელი თავმჯდომარე. აკრედიტაციის ექსპერტებმა 3 სექტემბერს გამართეს წინასწარი ონლაინ შეხვედრა, სადაც მათ ერთმანეთს გაუზიარეს პროგრამის მიმოხილვის, თვითშეფასების ანგარიშისა და შესაბამისი დანართების საფუძველზე მიღებული წინასწარი დასკვნები და დაგეგმეს პროგრამის შეფასების დეტალები. ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა პროგრამის ყველა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეს და დაეთვალაწიერებინა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრებები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე, დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, სამუშაო გარემო კი - თანამშრომლობითი და მეგობრული.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 1.1, 1.2, 1.5 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 1.3, 1.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 2.1- 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 3.1, 3.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 4.1, 4.2, 4.4, 4.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 4.3 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 5.1- 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 1.1, 1.5 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 1.2, 1.3, 1.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 2.1, 2.3, 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

·კომპონენტი 2.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

· კომპონენტი 3.1, 3.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

· კომპონენტი 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 4.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

· კომპონენტი 5.1- 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

1.1 - პროგრამის მიზნები

პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)

რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების რეფორმულირება შესაბამისი ზმნების გამოყენებით.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

კლასტერული

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების თავიდან ფორმულირება, რათა იყოს გაზომვადი და შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლების დონეს.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

კლასტერი

რეკომენდებულია, კურსის შინაარსის გაძლიერება ბოლოდროინდელი კვლევითი ნაშრომების, ACM/IEEE სტანდარტებისა და გლობალური საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირებით, განსაკუთრებით ბაკალავრიატის დონეზე.

რეკომენდებულია, გაასწოროთ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, რათა უკეთ იქნას გათვალისწინებული ინდივიდუალური კურსების სირთულე და მოთხოვნები.

რეკომენდებულია, მკაფიოდ გაიმიჯნოს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სილაბუსების დუბლირებული მიმართულებები, მაგისტრატურის დონეზე კვლევაზე ორიენტირებულ და მოწინავე თემებზე ხაზგასმით.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო და კვლევით პროექტებში, რათა სამაგისტრო ნაშრომის შედეგები მუდამ ორიგინალურობით გამოირჩეოდეს, ავლენდეს მოწინავე კვლევით უნარებს და პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად რთული პრობლემების გადაჭრის უნარს.

▪ რჩევები

1.1 - პროგრამის მიზნები

კლასტერული:

სასურველია, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის მიღმა, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტების დამატება.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შეფასება

პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)

სასურველია, შუალედური მონიტორინგი (ყოველწლიური ან წელიწადში ორჯერ) დროული უკუკავშირის მიზნით, რად საბაკალავრო პროგრამის ოთხწლიანი შეფასების ციკლი შეიძლება ძალიან ხანგრძლივი იყოს წარმოქმნილი პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისათვის.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნები უზრუნველყოფს ზოგად მზადყოფნას, პროგრამამ შეიძლება განიხილოს დამატებითი საორიენტაციო ან დამაკავშირებელი კურსების შემოღება სხვადასხვა საგანმანათლებლო გამოცდილების მქონე აბიტურიენტებისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებისთვის. უცხოელი აპლიკანტების მოსაზიდად მიღების პროცესების ინტერნაციონალიზაცია შეიძლება გაძლიერდეს საერთაშორისო კვალიფიკაციების უფრო სისტემური აღიარებითა და აქტიური ხელშეწყობით.

პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)

მიუხედავად იმისა, რომ გამოცდის ფორმატები აღწერილია, სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, სასურველია შეფასების რუბრიკების და შეფასების გამჭვირვალობის დახვეწა.

2.4. სტუდენტის შეფასება

პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)

სასურველია, გამოცდებთან ერთად პრაქტიკული დავალებების და პროექტების დანერგვა, სტუდენტთა უნარების უკეთ შესაფასებლად.

პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)

სასურველია, ნაშრომის შემუშავების პროცესში ჩართოთ განმავითარებელი შუალედური შეფასებები, რომლებსაც ძირითადად ხელმძღვანელი ატარებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მუდმივი ხელმძღვანელობა და ადრეული უკუკავშირი ისე, რომ ამან გავლენა არ მოახდინოს საბოლოო შემაჯამებელ შეფასებაზე.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

კლასტერული

სასურველია, აკადემიური და კარიერული კონსულტანტებისათვის რეგულარული ტრენინგების ჩატარება, რათა მათ ჰქონდეთ უახლესი ინფორმაცია საუკეთესო პრაქტიკის, შრომის ბაზრის ტენდენციებისა და სტუდენტების მრავალფეროვანი საჭიროებების შესახებ.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

კლასტერული

სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, პროგრამამ განიხილოს სტუდენტებისა და ხელმძღვანელებისთვის არასავალდებულო მეთოდოლოგიური ვორქშოპების ან სემინარების ორგანიზება, რომლებიც ფოკუსირებული იქნება კვლევის დიზაინზე, აკადემიურ წერასა და კვლევაში ეთიკურ სტანდარტებზე.

4.1. ადამიანური რესურსები

კლასტერული

სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს დამატებითი ინდიკატორების ან სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მონიტორინგისთვის, რათა კიდევ უფრო გააუმჯობესოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების თანმიმდევრულობა.

სასურველია, ინგლისურის სწავლების მხარდაჭერა, აწსუ-ს ინტერნაციონალიზაციის მიზნების შესაბამისად.

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

კლასტერული

სასურველია, ხელი შეეწყოს ხელმძღვანელებს, რომ სრულად გამოიყენონ ინსტიტუციის კვლევისა და გამოქვეყნების წახალისების მექანიზმი, რითაც გაუმჯობესდება მათი სამეცნიერო აქტივობა და ხელმძღვანელობის ხარისხი.

სასურველია, გაძლიერდეს სადიპლომო ნაშრომის თემებსა და ხელმძღვანელების გამოცდილებას შორის შესაბამისობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს უფრო მჭიდრო თანხვედრა და სტუდენტებისთვის უფრო ღრმა აკადემიური მხარდაჭერა.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

კლასტერული

სასურველია, გაგრძელდეს საერთაშორისო თანამშრომლობისა და კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ხოლო პერსონალის კომპეტენციების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით გაფართოვდეს მიზანმიმართული სასწავლო შესაძლებლობები.

სასურველია, უნივერსიტეტმა გადადგას ნაბიჯები პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად, რომ ჩაერთონ კვლევაში და გამოაქვეყნონ პუბლიკაციები, რაც გააძლიერებს პროგრამის კვლევით კომპონენტს.

4.4. მატერიალური რესურსები

კლასტერული

სასურველია, სტუდენტებისათვის სრული წვდომის აღსადგენად უზრუნველყოფილ იქნეს კომპიუტერული ლაბორატორიების შეკეთების დროული დასრულება.

პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)

სასურველია, უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო ნაშრომებზე ელექტრონული წვდომა ბიბლიოთეკაში, რათა კვლევის შედეგები უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)¹
- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე
- ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე წინა შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა.

2022 წლის რეაკრედიტაციის შემდეგ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა ჩაატარეს კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის შუალედური მონიტორინგი და SWOT ანალიზი. სასწავლო რესურსები გადამოწმდა ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, ხოლო ინტერნაციონალიზაციის მიმართულება გაძლიერდა ეროვნული და საერთაშორისო პროექტების მეშვეობით.

სტუდენტთა შეფასების სტანდარტები

დაწესდა შეფასების მკაფიო ზღვრები:

- სტუდენტებს დასკვნით გამოცდაზე გასვლა შეეძლებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებებიდან დააგროვებენ მინიმუმ 20 ქულას (აქტივობიდან მინიმუმ 12 ქულას).
- საბოლოო გამოცდაზე საჭიროა მინიმუმ 16 ქულის მიღება (ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება #3, 19.10.2021წ.).

პროგრამის გაუმჯობესება

¹ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს მიზნობრივი ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისათვის

აკრედიტაციის უკუკავშირისა და დარგის გამოწვევების შესაბამისად, განახლდა სასწავლო გეგმისა და პროგრამის სტრუქტურის რამდენიმე კომპონენტი:

- პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლის შედეგებს.
- მათემატიკური მოდელირება და ხელოვნური ინტელექტი, გამდიდრდა მოწინავე მათემატიკით.
- სამეცნიერო კვლევის საფუძვლები და კომპიუტერული მეცნიერების სემინარი გაერთიანდა ერთ ინტეგრირებულ კურსში.
- სისტემის უსაფრთხოება და დაცვა გახდა სავალდებულო და ახლა მოიცავს მთლიანობას, ხელმისაწვდომობას და ანტივირუსულ ინტეგრაციას (Windows Defender).
- OOP 1 და OOP 2 გაერთიანდა ერთ „ობიექტზე ორიენტირებულ პროგრამირების“ კურსში.
- მეორე სემესტრში დამატებულ, იქნა თეორიული ინფორმატიკა, როგორც სავალდებულო კურსი.
- უცხო ენა (ინგლისური) ამოღებულია, რადგან B2 ინგლისური ენის სერტიფიკატი გახდა დაშვების წინაპირობა.
- შეტანილ იქნა ახალი არჩევითი საგნები: Windows – აპლიკაციების პროგრამირება (II სემესტრი) და კომპილატორები (III სემესტრი).
- ხელოვნური ინტელექტი გაფართოვდა და მოიცვა მანქანური სწავლების თემები; კურსის კრედიტები გაიზარდა 7 - მდე .

გარდა ამისა, ყველა კურსის ფარგლებში განხორციელდა შეფასების სისტემების სტანდარტიზება, ხოლო სასწავლო მასალები გამდიდრდა ახალი ლიტერატურით.

სტუდენტური შესაძლებლობები

პროგრამამ გააძლიერა აკადემიური მობილობა. მაგალითად, 2023 წელს, მაგისტრანტმა ბაჩანა სალინაძემ მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში, ქალაქ რენში, გამოყენებითი მეცნიერებების ეროვნულ ინსტიტუტში განხორციელებულ გაცვლით პროგრამაში.

განმარტებები:

რეკომენდაციები - უნდა გაითვალისწინოს უსდ- მ იმისათვის, რომ პროგრამა შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასების მიდგომები აკრედიტაციის ექსპერტებისათვის

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები შეფასებულია შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით: კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური შეფასება.

შეფასების მიდგომები:

კლასტერული შეფასება: კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა, ანალიზი და შეფასება კლასტერის ზოგადი მახასიათებლების გათვალისწინებით.

ინდივიდუალური შეფასება: საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ ინფორმაცია კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი და ძირითადი მახასიათებლებისგან გამიჯნული, თითოეული ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. პროგრამის ინდივიდუალური შეფასების ჩატარება აუცილებელია დოქტორანტურის დონის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ასევე ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელიც ექვემდებარება რეკომენდაციას და/ან რჩევას.

III. სტანდარტებთან პროგრამების შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

№	შინაარსი/ სტანდარტი	პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.1	პროგრამის მიზნები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5	აკადემიური კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია,	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

	პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4	სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.	სტუდენტთა მოსწრება და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.1	ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4	მატერიალური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) კომპიუტერული მეცნიერების პროგრამების კლასტერი ადასტურებს, რომ პროგრამები შეესაბამება ინსტიტუციურ მისიას, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებას, რეგიონული განვითარების ხელშეწყობას და საზოგადოებისა და შრომის ბაზრის საჭიროებების დაკმაყოფილებას. კლასტერის აღწერა ხაზს უსვამს კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას ისეთ სექტორებში, როგორცაა განათლება, საბანკო საქმე, ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი და წარმოება, რაც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის მიზნების უმეტესობა რეალისტური, მიღწევადი და დარგობრივია, რადგან ისინი ორიენტირებულია ძლიერი თეორიული საფუძვლებისა და

პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებაზე. კლასტერის მიზნებსა და აწსუ - ს განვითარების სტრატეგიას შორის კავშირი ნათლად არის ჩამოყალიბებული: პროფესიონალების მომზადება, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ რეგიონის ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ განვითარებაში, პირდაპირ უკავშირდება უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მისიას.

ინტერნაციონალიზაცია უკავშირდება შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებას და სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. თუმცა, საერთაშორისო პერსპექტივების ინტეგრირების აშკარა მექანიზმები (მაგ., მობილობის შესაძლებლობები, პარტნიორობა ან ინგლისურენოვანი კომპონენტები) კლასტერულ დონეზე ნაკლებად მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაძლიერდეს.

პროგრამის ხელმისაწვდომობა სათანადოდ უზრუნველყოფილია: პროგრამის მიზნები გაცხადებულია საჯაროდ და პროგრამის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ასევე, არსებობს შესაბამისი მტკიცებულება, რომ პროგრამის განმახორციელებლები იზიარებენ პროგრამის მიზნებს, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

ინდივიდუალური შეფასება -

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)²

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზნები ზოგადად შეესაბამება როგორც ინსტიტუციურ მისიას, ასევე, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიას. პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს, რომელთაც შეეძლება კომპიუტერული ტექნოლოგიების დიზაინის შექმნა, შემუშავება და გამოყენება სხვადასხვა სექტორში, როგორცაა განათლება, საბანკო საქმე, ტელეკომუნიკაციები და წარმოება. ეს ეხმიანება უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას - წვლილი შეიტანოს რეგიონისა და ფართო საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები უფრო რეალისტური რომ იყოს და ასახავდეს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად მაგისტრანტებში, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს ზოგიერთი ზმნის ფორმულირებას შეცვლას:

² გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, ციკლი), პროგრამა 3 (სახელი, ციკლი) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს საცნობარო ფორმატი თითოეული შემდგომი კომპონენტის შეფასებისას).

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია (1) მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებსაც შეეძლებათ თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების დიზაინის შექმნა, შემუშავება და გამოყენება. (2) ისინი გამოავლენენ ეთიკურ პასუხისმგებლობას კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში საზოგადოებრივი გამოწვევების გადაჭრისას და (3) გამოიმუშავებენ ერთგულებას მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მიმართ, რაც მათ საშუალებას მისცემს, განაგრძონ სწავლა ან ადაპტირდნენ ახალ ტექნოლოგიებთან ინფორმატიკაში.

შესწორებული მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ხაზს უსვამენ კურსდამთავრებულთა განვითარების სამ განზომილებას: (1) კომპიუტერული ტექნოლოგიების ტექნიკური ექსპერტიზის შეძენას, (2) ინფორმატიკის სოციალური და ეთიკური შედეგების კრიტიკულად შეფასებისა და პასუხისმგებლობით მოქმედების უნარს და (3) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისადმი აშკარა ერთგულებას. მიზნების გაზომვადი ტერმინებით ჩამოყალიბებით, პროგრამა თავს აარიდებს ისეთ ბუნდოვანი ზმების გამოყენებას, როგორცაა „გაგება“ ან „გაცნობიერება“, რომლებიც აკრედიტაციის სტანდარტებით არ არის შეფასებადი. სამაგიეროდ, ახალი ფორმულირება უზრუნველყოფს, რომ მიზნებზე დაკვირვება და გადამოწმება შესაძლებელი იყოს კურსდამთავრებულთა მოსწრებისა და შეფასების ინსტრუმენტების მეშვეობით.

პროგრამას პირდაპირი წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, რადგან კურსდამთავრებულები მზად არიან არამხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში სხვადასხვა პოზიციაზე სამუშაოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების სპეციალისტი და ა.შ.), არამედ სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასასვლელადაც. კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება საქართველოსა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე ხაზს უსვამს პროგრამის მიზნების აქტუალურობასა და მდგრადობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და ლაკონურად, ხაზს უსვამს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, მოწინავე კომპეტენციების განვითარებას და კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების უნარს. მიზნები რეალისტურია და შეესაბამება მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) პროგრამის მოსალოდნელ შედეგებს. პროგრამის მიზნები მიღწევადია და ამაზე მეტყველებს ინფორმაცია ეკვივალენტური ქართულენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულების წარმატებული დასაქმების თაობაზე. პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს, თუ რისი მიღწევაც რეალურად არის შესაძლებელი 120 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში.

მიზნები შეესაბამება **კომპიუტერული მეცნიერების** დისციპლინას თანამედროვე, სიღრმისეული ცოდნის, კვლევითი უნარების, ანალიტიკური შესაძლებლობებისა და სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევების გადაჭრის უნარის ხაზგასმით. ისინი ასახავენ მეორე საფეხურის ტიპურ მოლოდინებს, როგორცაა ავტონომიურობა, კრიტიკული ანალიზი და პროფესიული

პასუხისმგებლობა. კვლევით პოტენციალსა და პრაქტიკულ გამოყენებაზე ფოკუსირება მიუთითებს როგორც დისციპლინური სპეციფიკის, ასევე, პროგრამის მოწინავე დონის გაგებაზე.

განცხადებული მიზნები ცალსახად ავითარებს:

- ცოდნას: კომპიუტერული მეცნიერებისა და მისი გამოწვევების თანამედროვე, სიღრმისეული და განახლებული გაგება.
- უნარებს: კვლევითი უნარები, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა, ანალიტიკური უნარები და ტრანსფერული უნარები შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის.
- კომპეტენციებს: ავტონომიურობა, პასუხისმგებლობა, კრიტიკული განსჯა და პროფესიულ და საზოგადოებრივ განვითარებაში წვლილის შეტანის უნარი.

ეს ელემენტები მკაფიოდ არის წარმოდგენილი მიზნების განაცხადში, რაც აჩვენებს შესაბამისობას ცოდნა-უნარები-პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობის ტრიადასთან, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოშია განსაზღვრული სწავლების სამაგისტრო საფეხურისათვის.

მიზნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ „წვლილის შეტანა დარგისა და საზოგადოების განვითარებაში“, რაც ხაზს უსვამს პროგრამის მიზანს, მოამზადოს პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ ცოდნის გავრცელება, ინოვაციების მხარდაჭერა და სექტორულ გამოწვევებზე რეაგირება. ეს მიუთითებს, რომ პროგრამას წვლილი შეაქვს ფართო საზოგადოების და სექტორის განვითარებაში, რაც შეესაბამება ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და გავლენის დემონსტრირების შესახებ.

მიზნების ფოკუსირება კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებაზე, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერასა და საზოგადოებაში წვლილის შეტანაზე - როგორც წესი, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას აკადემიური წარმატების, კვლევის ხელშეწყობისა და საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით. წარმოდგენილი მტკიცებულებები მიუთითებენ, რომ მიზნები შემუშავდა თანმიმდევრულად, ინსტიტუციური მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჩარჩოს შესაბამისად.

პროგრამაში ცალსახადაა განცხადებული, რომ კურსდამთავრებულები „იქნებიან მაღალკონკურენტუნარიანები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე“. ეს მიუთითებს, ეროვნული კონტექსტის მიღმა, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება. ახალი ცოდნა, პრაქტიკული კომპეტენციები და ტრანსფერული უნარები - ეს ის უნარებია, რომელსაც დამსაქმებლები მოითხოვენ გლობალურ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მეცნიერების სექტორებში. ამგვარად, თვალსაჩინოა, რომ პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, , თუმცა ამ მიმართულებით მეტი ანალიზია საჭირო, კონკრეტული კვლევების ან ინდუსტრიასთან კონსულტაციების მითითებით.

მიზნები მიუთითებს გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე, თანამედროვე გამოწვევებზე და ისეთი უნარების განვითარებაზე, რაც კურსდამთავრებულებს მისცემს საერთაშორისო გარემოში

მუშაობის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ცალკე ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, პროგრამის მიზნებში ხაზგასმულია სწავლის შედეგების შესაბამისობა გლობალურ სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამა ითვალისწინებს გლობალური მასშტაბით არსებულ იმ მოლოდინებს, რაც დამახასიათებელია კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით სამაგისტრო საფეხურის სწავლებისთვის.

სასწავლო გეგმა და პროგრამის მიზნები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აბიტურიენტებისთვის, დამსაქმებლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. ეს ეხმიანება ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნას, რომ პროგრამის მიზნები იყოს საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი.

თვითშეფასება და ადგილზე გამართული გასაუბრება მიუთითებს, რომ პროგრამის მიზნები ინსტიტუციური დაგეგმვის მეთოდოლოგიის ნაწილია და საჯაროდაა გაცხადებული სასწავლო გეგმის მეშვეობით. პროგრამის მიზნები შემუშავდა ინსტიტუციური პროცედურების დაცვით და დეპარტამენტის მრავალწლიანი პრაქტიკის საფუძველზე, რაც მიუთითებს, რომ დაინტერესებული მხარეები, აკადემიური პერსონალი და პროგრამის განმახორციელებლები აცნობიერებენ და იზიარებენ პროგრამის მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აწსუ - ს მისია: <https://atsu.edu.ge/ge/home>
- აწსუ - ს სტრატეგიული განვითარების გეგმა: <https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo>
- აწსუ - ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა: <https://atsu.edu.ge/index.php/exact-strategic-plan-geo>
- „კომპიუტერულ მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაციები: _____ გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში
--	---	---

	დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:		სასურველია, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის მიღმა, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტების დამატება.
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს შესაბამისი ზმნების გამოყენებით.	
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)		

შეფასება ³

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 - პროგრამის მიზნები	
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

³ თითოეული პროგრამის შეფასება ხდება ცალ-ცალკე.

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერის ფარგლებში სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის/ ავტონომიურობის თვალსაზრისით და ასახავს საბაკალავრო (კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მე-6 დონე) და სამაგისტრო (კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მე-7 დონე) ციკლებს შორის თანმიმდევრულ პროგრესიას. ისინი პირდაპირ შეესაბამება პროგრამების მიზნებს, ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის სტანდარტებსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერებს.

აღსანიშნავი ძლიერი მხარეა ის, რომ კლასტერის პროგრამები შედარებულია საერთაშორისო ანალოგებთან (მაგ., INSA-რენეს უნივერსიტეტი, ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი), რაც მხარდაჭერილია Erasmus+-თან თანამშრომლობითა და ევროპელ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გეგმის განხილვით. ეს არის მიზანმიმართული მცდელობა, რომ პროგრამა შეესაბამებოდეს სხვა საერთაშორისო ანალოგებს და იზიარებდეს დარგის საუკეთესო პრაქტიკებს. სწავლის შედეგები ასევე დაკავშირებულია შრომის ბაზრის საჭიროებებთან: ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები მზად არიან ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში სხვადასხვა როლი შეასრულონ, მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს აქვთ კვლევისა და პრობლემის გადაჭრის უნარები. სწავლის შედეგების შინაარსი, კომპლექსურობა და სირთული თანმიმდევრულია, რაც აკმაყოფილებს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს.

კლასტერისთვის გასაუმჯობესებელი მხარეა - სწავლის შედეგებში გამოყენებული ყველა ზმნა უნდა იყოს გაზომვადი (მაგ., „აღწერს“, „ხსნის“, „ახასიათებს“ უფრო სუსტია, ვიდრე „აანალიზებს“, „გამოიყენებს“, „აფასებს“).

ინდივიდუალური შეფასება -

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)

პროგრამის სწავლის შედეგები აშკარად შეესაბამება კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრიატის განცხადებულ მიზნებს. თვითსწავლებაში ნახსენები მიზნები - ინფორმატიკაში მყარი საფუძვლის შექმნა, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და კურსდამთავრებულების პროფესიული პრაქტიკისთვის მომზადება - პირდაპირ აისახება ცოდნის, უნარებისა და ავტონომიურობის შედეგებში. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს

ფუნდამენტურ თეორიებს, პროგრამირების ენებს, ჩაშენებულ სისტემებს და თანამედროვე ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რომლებიც წარმოადგენენ პროგრამის აკადემიური მიზნისა და შინაარსის ცენტრალურ ნაწილს. ალგორითმული პრობლემების გადაჭრის, ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების, მოდელირებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის შესაბამისობას აკადემიურ მიზანთან.

შედეგები სრულ შესაბამისობას აჩვენებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის კვალიფიკაციის აღმწერთან, რომელიც მოითხოვს:

- დარგის ფართო ცოდნას
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს
- ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევებს
- პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას პროფესიულ კონტექსტში

პროგრამის შედეგები ცალსახად ასახავს მე-6 დონის მოლოდინებს ანალიტიკური უნარების, პროგრამული უზრუნველყოფის განხორციელების, პრობლემების გადაჭრის, პატივისცემით აღსავსე კომუნიკაციის, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და დროისა და ამოცანებისადმი პასუხისმგებლობის გზით. ისინი ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს 0613 დარგის აღწერილობას - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების შემუშავება და ანალიზი, ხაზს უსვამს ალგორითმებს, პროგრამირებას, სისტემის დიზაინსა და ტექნოლოგიურ ინტეგრაციას.

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორულ მახასიათებლებს და შედეგები სრულად ასახავს ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტანდარტებს, მათ შორის:

- პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას
- მონაცემთა დამუშავებას
- ჩაშენებულ სისტემებს
- ღრუბლოვანი ტექნოლოგიებს
- კიბერუსაფრთხოებას
- კომპიუტერულ გრაფიკასა და ვიზუალიზაციას

ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის მოთხოვნების საფუძვლიანი ცოდნა კიდევ უფრო გაძლიერებულია ევროპულ პროგრამებთან (INSA- Rennes, UIC Iași) შედარებით, რაც ასევე უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ავლენენ შესაბამისობას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შრომის ბაზარზე დასაქმების ტენდენციებთან. პროგრამირებაზე (C++, Java, Python), გადაწყვეტილების მიღებაზე, კიბერუსაფრთხოებაზე, ღრუბლოვანი სისტემებსა და ჩაშენებულ სისტემებზე ფოკუსირება ასახავს შრომის ბაზართან ძლიერ შესაბამისობას. ეს

კომპეტენციები დიდად მოთხოვნიდა როგორც ქართველ, ასევე საერთაშორისო დამსაქმებლებს შორის.

გარდა ამისა, ალგორითმულ აზროვნებაზე, მოდელირებასა და თეორიულ საფუძვლებზე აქცენტი უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები ასევე მომზადდებიან არიან მაგისტრატურის დონეზე შემდგომი სწავლისათვის, რაც მოითხოვს ანალიტიკურ და კვლევაზე ორიენტირებულ კომპეტენციებს.

კომპიუტერული მეცნიერება, როგორც დარგი, სწრაფად ვითარდება. პროგრამა ამას ითვალისწინებს შემდეგის ჩართვით:

- თანამედროვე პროგრამირების ენები
- ღრუბლოვანი ტექნოლოგიები
- კიბერუსაფრთხოება
- ჩაშენებული სისტემები
- კომპიუტერული გრაფიკა და ვიზუალიზაცია

კრიტიკული თვითშეფასებისა და უწყვეტი განვითარების შედეგი აჩვენებს დარგის დინამიური ბუნების გაცნობიერებას. კარგად არის დაკმაყოფილებული შრომის ბაზრის მოთხოვნა მრავალენოვან პროგრამირებასა და სისტემის დიზაინის უნარებზე.

აღწერაში ხაზგასმულია დაინტერესებულ მხარეებთან სტრუქტურირებული თანამშრომლობა და INSA- Rennes- თან და UIC Iași- სთან Erasmus+ პარტნიორობის მეშვეობით განხორციელებული პარტნიორობა. ეს მიუთითებს დაინტერესებული საერთაშორისო აკადემიური მხარეების (პროფ. მირეილ დუკასე, პროფ. ჟან - ლუი პაზა, პროფ. კოსტანი და ა.შ.) ჩართულობაზე.

ანალიზი მიუთითებს, რომ პროგრამა შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერების შესაბამისად და თავსებადია ინფორმატიკის საერთაშორისო პროგრამებთან. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მე-6 დონეს, რაც წარმოადგენს კლასტერული დონის თანმიმდევრულობის მტკიცებულებას. პროგრამაში ნათქვამია, რომ განხორციელებაში ჩართული პირები აწვდიან ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.

პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია; თუმცა, ცოდნის განზომილება შეიცავს ისეთ ზმნებს, როგორცაა „აღწერს“, „ხსნის“ და „ახასიათებს“, რომლებიც პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება. აკრედიტაციის სტანდარტები, როგორც წესი, ხელს უწყობს უფრო ძლიერი მოქმედების ზმნების გამოყენებას, როგორცაა „ანალიზებს“, „გამოიყენებს“, „ადარებს“ ან „აფასებს“. ანალოგიურად, შედეგი, რომელიც „კრიტიკულად აფასებს საკუთარ ცოდნას და ავითარებს საკუთარ თავს“, შეიძლება ითარგმნოს, როგორც „კრიტიკული თვითშეფასების გზით ავლენს უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარს“.

რეკომენდებული გაუმჯობესებები (მანამდე/შემდეგ)

ცოდნა და გაცნობიერება

- მანამდე: აღწერს და განმარტავს ინფორმატიკის ფუნდამენტურ თეორიებსა და ალგორითმებს.

შემდეგ: განმარტავს და იყენებს ინფორმატიკის ფუნდამენტურ თეორიებსა და ალგორითმებს გამოთვლითი პრობლემების გასაანალიზებლად.

- მანამდე: აღწერს თანამედროვე პროგრამირების ენებისა და მეთოდების მახასიათებლებსა და შესაძლებლობებს.

შემდეგ: მრავალფეროვანი გამოთვლითი ამოცანების გადასაჭრელად ადარებს და აფასებს თანამედროვე პროგრამირების ენებსა და მეთოდებს.

- მანამდე: აღწერს ჩაშენებული სისტემების შექმნისა და ოპტიმიზაციის პროცესს.

შემდეგ: აანალიზებს და ასახავს ჩაშენებული სისტემების დიზაინისა და ოპტიმიზაციის პროცესს.

- მანამდე: ახასიათებს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

შემდეგ: აფასებს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებადობასა და შეზღუდვებს პროფესიულ პრაქტიკაში.

უნარები

- მანამდე: ფლობს კომპიუტერული გრაფიკისა და ვიზუალიზაციის კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ღრუბლოვან ტექნოლოგიებსა და კიბერუსაფრთხოებას.

შემდეგ: პრაქტიკული გადაწყვეტილებების შესამუშავებლად იყენებს კომპიუტერულ გრაფიკას, ვიზუალიზაციას, ღრუბლოვან ტექნოლოგიებს და კიბერუსაფრთხოების ტექნოლოგიებს.

დასაქმების შესაბამისობის თვალსაზრისით, შედეგები ამკარად უჭერს მხარს ისეთ პოზიციებს, როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი და სისტემების ანალიტიკოსი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერებთან. ისინი სცილდებიან ფუნდამენტურ ცოდნას და კვლევის ჩატარებას, არასრული თუ რთული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს და გადადიან აკადემიური და პროფესიული საზოგადოებაში წვლილის შეტანის უნარზე. რთული და კომპლექსური ამოცანებისთვის ეფექტური ალგორითმების შემუშავებაზე, სამეცნიერო კვლევასა და გავრცელებაზე ფოკუსირება ასახავს ბაკალავრის დონიდან შესაბამის წინსვლას.

ისეთი ტრანსფერული უნარების ჩართვა, როგორც კრიტიკული შეფასება, დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვა და შედეგების პროფესიონალური პრეზენტაცია, ასახავს საერთაშორისო მოლოდინებს მეორე საფეხურის კურსდამთავრებულების მიმართ. შედეგები ასევე ცალსახად ეხება აკადემიურ ეთიკასა და პასუხისმგებლობას, რაც აძლიერებს მათ შესაბამისობას როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ სტანდარტებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია; თუმცა, საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, ცოდნის კომპონენტში ზოგიერთი ზმნა (მაგ., „ჩამოთვლის“, „ამოიცნობს“, „აღწერს“) შეიძლება გაძლიერდეს, რათა უკეთ ასახოს მე-7 დონეზე მოსალოდნელი ანალიტიკური სიღრმე. უფრო გაზომვადი ფრაზები, როგორცაა „აფასებს მონაცემთა სტრუქტურებს“, „ადარებს პროგრამულ ინსტრუმენტებს“ ან „ქმნის მონაცემთა ბაზის არქიტექტურას“, წარმოაჩენდა უფრო მკაფიო პროგრესირებას.

რეკომენდებული გაუმჯობესებები

ცოდნა და გაცნობიერება

- „განსაზღვრავს ძირითად კონცეფციებს, პროექტებსა და ამოცანებს... აფასებს ძირითად ტენდენციებს...“

უფრო ძლიერია ვიდრე ბაკალავრის („აფასებს“ მატებს სიღრმეს). მაგისტრის დონისთვის შესაფერისია.

- „ჩამოთვლის სტანდარტულ მონაცემთა სტრუქტურებს და ირჩევს ინფორმაციის დამუშავების ფუნდამენტურ მეთოდებს.“

სუსტია მაგისტრისათვის: „ჩამოთვლის“ ძალიან დაბალი დონისაა (ბაკალავრისთვისაა). უფრო შესაფერისი იქნებოდა „გამოიყენებს“ ან „დააპროექტებს“.

- „ამოიცნობს თანამედროვე პროგრამულ ინსტრუმენტებს... განმარტავს მათ შესაძლებლობებს.“

კვლავ, „ამოიცნობს/ განმარტავს“ = დაბალი დონის ზმნებია. მაგისტრისათვის მოსალოდნელია „აფასებს“, „ინტეგრირებს“ ან „ადაპტირებს“.

- „აღწერს მონაცემთა ბაზებისა და ინტელექტუალური სისტემების შექმნის ძირითად პრინციპებს.“

ზედმეტად საბაზისოა მაგისტრისთვის. მოწინავე მონაცემთა ბაზების/ ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიმართ ხაზგასმული უნდა იყოს „დიზაინი“, „განხორციელება“ ან „კრიტიკულად შეფასება“.

რეფორმულირების

მაგალითი:

• მანამდე: ჩამოთვლის სტანდარტულ მონაცემთა სტრუქტურებს და ირჩევს ინფორმაციის დამუშავების ფუნდამენტურ მეთოდებს.

შემდეგ: აფასებს და იყენებს მოწინავე მონაცემთა სტრუქტურებსა და გამოთვლით მეთოდებს რთულ კონტექსტებში ინფორმაციის დამუშავების ოპტიმიზაციისათვის.

• მანამდე: განსაზღვრავს კომპიუტერზე ალგორითმების დანერგვის თანამედროვე პროგრამულ ინსტრუმენტებს და განმარტავს მათ შესაძლებლობებს.

შემდეგ: არჩევს, აერთიანებს და კრიტიკულად აფასებს თანამედროვე პროგრამულ ინსტრუმენტებს სხვადასხვა გამოთვლით პლატფორმებზე ალგორითმების დანერგვისა და ოპტიმიზაციისათვის.

• მანამდე: აღწერს მონაცემთა ბაზებისა და ინტელექტუალური სისტემების აგების ძირითად პრინციპებს.

შემდეგ: მასშტაბირების, მუშაობისა და ეთიკური შედეგების გათვალისწინებით გეგმავს და კრიტიკულად აფასებს მოწინავე მონაცემთა ბაზის არქიტექტურებსა და ინტელექტუალურ სისტემებს.

შედეგები აშკარად უკავშირდება როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების მოწინავე პოზიციებზე დასაქმების შესაძლებლობებს, ისე დოქტორანტურის დონის განათლების მიღების პოტენციალს, რითაც სრულდება შემდეგ დონეზე სწავლისათვის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბაკალავრის ხარისხის პროგრამა "კომპიუტერული მეცნიერება";
- მაგისტრის ხარისხის პროგრამა "კომპიუტერული მეცნიერება";
- პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის რუკა;
- სასწავლო გეგმის რუკის ანალიზი;
- რენის, საფრანგეთი, „გამოყენებითი მეცნიერებების ეროვნული ინსტიტუტის“ ვებსაიტი – <https://www.insa-rennes.fr/info.html>
- მიმოწერა INSA- რენისა და UIC უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან;

- გასაუბრების შედეგები

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაციები: _____ გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p>რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:</p>	<p>რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების თავიდან ფორმულირება, რათა იყოს გაზომვადი და შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლების დონეს.</p>	
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)</p>		
<p>პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)</p>		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

<p>კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:</p>	<p>შეფასება</p>
<p>პროგრამა 1 (დასახელება, დონე)</p>	<p>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>პროგრამა 2 (დასახელება, დონე)</p>	<p>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზისაგან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერის ფარგლებში არსებობს პროგრამის შეფასების სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომა, რაც მოიცავს 4 ეტაპს: ფორმულირება, სასწავლო გეგმის რუკის შედგენა, შეფასება და პროგრამის გაუმჯობესება. ეს ციკლური პროცესი მიუთითებს კლასტერში არსებულ კარგ პრაქტიკაზე და შეესაბამება ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს, თანმიმდევრულობასთან, გამჭვირვალობასთან და უწყვეტ გაუმჯობესებასთან მიმართებით.

სასწავლო გეგმის რუკები გამოყენება, რომ პროგრესულ დონეზე (შესავალი, პრაქტიკა, დაუფლება) სასწავლო კურსები სწავლის შედეგებს დაუკავშირდეს, რაც უზრუნველყოფს, რომ რომ პროგრამის დიზაინი ხელს უწყობდეს სწავლის შედეგების მიღწევას კუმულაციური და ლოგიკური გზით. თითოეული სწავლის შედეგისთვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა (საბაკალავრო პროგრამისთვის ოთხწლიანი ციკლი; სამაგისტრო პროგრამისათვის ორწლიანი ციკლი) თავისმხრივ უზრუნველყოფს სისტემური მონიტორინგისთვის ვადების განსაზღვრას.

სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების (გამოცდები, პროექტები, ლაბორატორიული სამუშაოები, პრეზენტაციები) შედეგად მიღებულ შედეგებს ასევე ემატება არაპირდაპირი გზით მიღებული მტკიცებულებები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვები, დასაქმების მაჩვენებლები, დასრულების მონაცემები). შედეგად, ეს ორმაგი მიდგომა მონაცემების ტრანზლაციის საშუალებას იძლევა და ზომავს სწავლის შედეგის მიღწევას.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა კარგად არის დოკუმენტირებული სწავლის შედეგების „ფორმულირების ეტაპზე“. აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში, აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა წვლილი შეიტანეს

პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებაში. ტექსტი ასევე ადასტურებს, რომ სწავლის შედეგების ფორმულირებაში, გარე დაინტერესებული მხარეები არაპირდაპირ არიან ჩართულნი, გამოკითხვებსა და კვლევებში მონაწილეობის გზით. გამოკითხვებისა და ინდიკატორების შესწავლის თუმცა დამსაქმებლებისა და პროფესიული ასოციაციების ჩართულობა შედეგების შეფასების განხილვაში უნდა გახდეს მეტად ინსტიტუციონალიზებული, გარე ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით.

უკუკავშირის მექანიზმი არსებობს: პროგრამის ლიდერები და აკადემიური პერსონალი აანალიზებს შედეგებს, გამოავლენს სისუსტეებს და გეგმავს შესაბამის ცვლილებებს სასწავლო გეგმაში, არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერსონალს უტარებს ტრენინგებს სწავლის შედეგების ფორმულირების, გაზომვისა და ანალიზის მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი იცნობს შეფასების მეთოდებს და დაწესებულება მხარს უჭერს მათ პროფესიულ განვითარებას.

როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებს აქვთ მიზნობრივი ნიშნულები (როგორც წესი: შედეგის მიხედვით სტუდენტების 60 – 65%- მა უნდა დააგროვოს $\geq 71/75$ ქულა ან მაქსიმალური შეფასების $\geq 80\%$).

და ბოლოს, გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშების მომზადებით და სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდებით, მათი მიღწევების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ეს მიდგომა აკავშირებს სწავლის შედეგების შეფასებას სწავლის გაუმჯობესებასთან.

რჩევა: საბაკალავრო პროგრამის 4 - წლიანი შეფასების ციკლი შეიძლება ძალიან ხანგრძლივი იყოს, წარმოქმნილი პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისათვის; შუალედური მონიტორინგი (ყოველწლიური ან წელიწადში ორჯერ) შეიძლება იძლეოდეს უფრო დროული უკუკავშირის საშუალებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ დოქტორანტურის დონის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რომლისთვისაც გაიცა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა,
- სასწავლო გეგმის რუკის ანალიზი,
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა,
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- გასაუბრების შედეგები

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაციები: _____ გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p>რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:</p>		
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)</p>		<p>სასურველია, შუალედური მონიტორინგი (ყოველწლიური ან წელიწადში ორჯერ) დროული უკუკავშირის მიზნით, რად საბაკალავრო პროგრამის ოთხწლიანი შეფასების ციკლი</p>

		შეიძლება ძალიან ხანგრძლივი იყოს წარმოქმნილი პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისათვის.
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი <u>1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</u>	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამები შემუშავებულია ეროვნული და ინსტიტუციური რეგულაციების შესაბამისად: ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო (NQF), სასწავლო სფეროების კლასიფიკატორი, კომპიუტერული მეცნიერებების დარგობრივი მახასიათებლები და აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. ეს შესაბამისობა მოწმობს, რომ

კლასტერი იცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიას პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარებისთვის.

პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი თანმიმდევრული და ლოგიკურია. თითოეული პროგრამა აერთიანებს მიღების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლების/სწავლის მეთოდებს, შეფასების პროცედურებს და დასაქმების სფეროებს ერთ თანმიმდევრულ მთლიანობაში. ECTS სისტემა სწორად გამოიყენება, 1 კრედიტი = სტუდენტის 25 საათიან სამუშაო დატვირთვას. პროგრამები სტრუქტურირებულად მიმდინარეობს, სადაც წინაპირობები და კურსების თანმიმდევრობა უზრუნველყოფს სტუდენტების გადასვლას შესავალიდან უფრო რთულ სწავლის შედეგებზე.

პროგრამები ასევე ასახავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას პროგრამის შემუშავების და ფორმირების პროცესში, აკადემიური პერსონალისა და გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ეს თანამშრომლობითი მიდგომა ხელს უწყობს შესაბამისობას, ასევე რეაგირებას როგორც აკადემიურ, ისე შრომის ბაზრის მოლოდინებზე.

ინდივიდუალური შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერებები, ბაკალავრიატი)

აღწერილობაში მითითებულია, რომ პროგრამის სტრუქტურა - 240 ECTS, ლოგიკურად განაწილებულია 8 სემესტრზე, სავალდებულო და არჩევითი კურსების დეტალური კატეგორიებით; სტრუქტურა მიჰყვება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისთვის. კრედიტების სისტემური განაწილება (სავალდებულო ძირითადი, არჩევითი ძირითადი და თავისუფალი კომპონენტები) გვიჩვენებს პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების ინსტიტუციური წესების დაცვას. პროგრამა მიყვება უნივერსიტეტში მოქმედ სტანდარტულ შიდა ჩარჩოს, თანმიმდევრულობისა და აკადემიური სიმკაცრის უზრუნველყოფის მიზნით.

240 ECTS კრედიტით, რომელიც 4 წელზეა გადანაწილებული, პროგრამა აკმაყოფილებს სწავლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრის) მისანიჭებელი ხარისხის სტანდარტულ მოცულობას, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს უმაღლესი განათლებისა და ბოლონის პროცესის მიხედვით. ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კურსების გადანაწილებულია ლოგიკურად: ადრეულ სემესტრებში საბაზისო კურსები ისწავლება; შემდგომ მოწინავე, ძირითადი მოდულები და მოგვიანებით, სპეციალიზაციასთან დაკავშირებული არჩევითი საგნები. ეს სტრუქტურა შეესაბამება ბაკალავრიატის დონისთვის დამახასიათებელ კოგნიტურ, პრაქტიკულ და ავტონომიის მოთხოვნებს.

პროგრამაში ცალსახად წერია:

- 1 კრედიტი = 25 სასწავლო საათი,
- 30 ECTS სემესტრში და 60 ECTS წელიწადში,
- სრული კვალიფიკაციისთვის - 240 ECTS.
ეს ელემენტები სრულად შეესაბამება ეროვნულ რეგულაციებს და კრედიტების ტრანსფერისა და

დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). პროგრამის ხანგრძლივობა და კრედიტების გაანგარიშება შეესაბამება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“.

პროგრამა ინდივიდუალურობით გამოირჩევა - კომპიუტერული მეცნიერებების ძირითადი კურსები მოიცავს 200 ECTS კრედიტს, რაც აღემატება ტიპურ, მინიმალურ მოთხოვნას. გარდა ამისა, პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის ჩართვა, ძირითად სფეროში მიზნობრივ არჩევით კურსებთან ერთად, ქმნის ინდივიდუალური აკადემიური მიმართულების არჩევის შესაძლებლობებს. ეს კომბინაცია პროგრამას ხდის გამორჩეულს სხვა სტარდარტულ საბაკალავრო პროგრამებთან შედარებით და ხელს უწყობს სტუდენტთა მოზიდვას.

მინიჭებული კვალიფიკაცია, ინფორმატიკის ბაკალავრი, შეესაბამება პროგრამის ძირითად ფოკუსს - კომპიუტერულ მეცნიერებებს. დატვირთული სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ინფორმატიკის სფეროსთვის საჭირო ფუნდამენტური ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. სავალდებულო და არჩევითი კურსების განაწილება ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმასა და კურსდამთავრებულის საბოლოო აკადემიურ პროფილს შორის შესაბამისობას. პროგრამა მოიცავს 30 ECTS მოცულობის არჩევით კურსებს ძირითად სფეროში. ეს არჩევითი კურსები, როგორც წესი, აღრმავებს ცოდნას კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალიზებულ სფეროებში. ვინაიდან არჩევითი საგნები აუცილებელია ძირითადი სასწავლო სფეროს ბლოკში, მათი სწავლის შედეგები თავისთავად აძლიერებს პროგრამის საერთო შედეგებს და მათთან შესაბამისობაშია. პროგრამა სტრუქტურირებულია სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ კომპონენტებად, რომლებიც რვა სემესტრის განმავლობაში ლოგიკურ აკადემიურ თანმიმდევრობას მიჰყვება. საბაზისო თემებიდან უფრო კომპლექსულ თემებზე გადასვლა ხელს უწყობს სტუდენტის კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ წინაპირობების თანმიმდევრულობას, განსაკუთრებით ინფორმატიკის ან პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის კურსებისთვის. ეს თანმიმდევრულობა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ეტაპობრივად იძენენ ცოდნას სწავლის შედეგების მისაღწევად. კომპიუტერული მეცნიერებები სწრაფად განვითარებადი სფეროა და პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი ახალი კვლევითი მიღწევების ინტეგრირების საშუალებას იძლევა. მართალია, მოწოდებულ ტექსტში ეს პირდაპირ არ არის მითითებული, თუმცა დარგობრივი კურსებისთვის 200 კრედიტის გამოყოფა სწორედ მიანიშნებს თანამედროვე ტექნოლოგიების, მეთოდოლოგიებისა და თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის სასწავლო გეგმაში ინტეგრირებაზე. ეს დამახასიათებელია კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამებისთვის და შეესაბამება EQE-ს მოლოდინებს. პროგრამა სრულად ინგლისურენოვანია, რაც ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას. ინგლისურ ენაზე სწავლება ხელს უწყობს სტუდენტებს, რომ იმუშაონ საერთაშორისო აკადემიური წყაროებთან, მიყვანენ გლობალურ გამოთვლით სტანდარტებს და მულტინაციონალურ სასწავლო კონტექსტს. გარდა ამისა, კომპიუტერული მეცნიერებები, როგორც დისციპლინა, თავისთავად ეყრდნობა გლობალურად აღიარებულ ცოდნას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსის საერთაშორისო აქტუალობას. გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. ვინაიდან პროგრამა, თავისი დეტალური სტრუქტურით, საჯაროდ ხელმისაწვდომია, უსდ აკმაყოფილებს გამჭვირვალობის შესახებ მოთხოვნას. საბაკალავრო პროგრამა გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე; აღწერილობის თანახმად, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია პოტენციური სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერებები, მაგისტრატურა)

წარმოდგენილი ინფორმაციით, მაგისტრატურის პროგრამა გადაიხედა და შემუშავდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის დაცვით. პროგრამა განახლდა ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოს (NQF), სწავლის სფეროების კლასიფიკატორს და კომპიუტერული მეცნიერების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. ეს მოწმობს, უსდ-მ პროგრამა შეიმუშავა შიდა პროცედურების, მათ შორის აკადემიური კომიტეტის განხილვისა და მეთოდოლოგიური პროცესების შესაბამისად.

პროგრამის საერთო მოცულობაა 120 ECTS კრედიტი, რომელიც 2 წლის (4 სემესტრი) განმავლობაში ისწავლება, სრულად შეესაბამება სწავლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) ხარისხის მოთხოვნებს. სავალდებულო. ძირითადი კურსების მაღალი წილი (100 ECTS) მიუთითებს სწავლების სამაგისტრო საფეხურისთვის დამახასიათებელ სიღრმისეულ აკადემიურ ცოდნასა და კვლევაზე. ეს პროგრესია და სავნების სირთულე შეესაბამება სამაგისტრო საფეხურზე სწავლების მოლოდინებს, რაც მოითხოვს მაღალი დონის ანალიტიკურ, კვლევით და პრობლემების გადაჭრის კომპეტენციებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის შესაბამისად.

აღწერაში ნათლად წერია:

- 1 ECTS = სტუდენტის 25 საათიანი სამუშაო დატვირთვა
- 30 ECTS სემესტრში, 60 წელიწადში
- პროგრამის საერთო მოცულობა = 120 ECTS

ეს პარამეტრები სრულად შეესაბამება მაგისტრატურის პროგრამების მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობას და ECTS კრედიტების სისტემას. პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო დატვირთვის გაანგარიშება ადასტურებს, რომ გათვალისწინებულია საკანონმდებლო და აკადემიური სტანდარტები.

პროგრამა გამორჩეულია, რადგან:

- 100-კრედიტის მოცულობის ძირითადი კომპონენტი ფარავს კომპიუტერული მეცნიერების მოწინავე თემებს.
- 20 ECTS-იანი არჩევითი ბლოკი, რომელიც ფარავს სტუდენტის ინტერესებს ან კვლევით მიმართულებებს, სპეციალიზაციაში დახელოვნების შესაძლებლობას იძლევა.

ამგვარი ბალანსი, სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, რომ თავიანთი აკადემიური მიმართულება თავადვე განსაზღვრონ და ამასთანავე შეიძინონ დისციპლინის ფუნდამენტური ცოდნა. აღნიშნული პროგრამის დიზაინი გამოირჩევა სხვა სამაგისტრო პროგრამებისგან, რადგან ის მოიცავს კვლევაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ინფორმატიკის მაგისტრი, პირდაპირ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სიღრმეს და კვლევით მიმართულებას. ძირითადი, დარგობრივი კურსების დომინირება უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში მოწინავე კომპეტენციების შექმნას. პროგრამის არქიტექტურა ხელს უწყობს ყველა იმ სასწავლო შედეგის მიღწევას, რომელიც დაკავშირებულია თეორიულ ცოდნასთან, პრაქტიკულ კვლევით უნარებთან და მაგისტრატურის შესაბამის პროფესიულ კომპეტენციებთან. მართალია, პროგრამას არ აქვს ცალკეული კონცენტრაციები, თუმცა ის მოიცავს 20 ECTS არჩევით კურსებს, რაც თემატური, დარგობრივი სპეციალიზაციის საშუალებას იძლევა. ვინაიდან ეს

არჩევითი საგნები შემოიფარგლება ძირითადი სასწავლო სფეროთი, მათი შედეგები თავისთავად შეესაბამება და მხარს უჭერს პროგრამის ფართო სწავლის შედეგებს. არჩევითი საგნები აძლიერებს სპეციალიზებული ექსპერტიზის განვითარებას, ამავდროულად, ინარჩუნებს თანმიმდევრულობას პროგრამის ძირითად მოთხოვნებთან.

პროგრამის სტრუქტურა ასეთია:

- ძირითადი კურსები (100 ECTS) ქმნის ღრმა ცოდნის მყარ საფუძველს.
- არჩევითი საგნები (20 ECTS) თემატური სიღრმით ავსებს ძირითად საგნებს.

ეს დიზაინი უზრუნველყოფს თეორიული მომზადებისა და კვლევითი კომპონენტების ლოგიკურ, სემესტრულ პროგრესიას. პროგრამის თანმიმდევრობა ხელს უწყობს სირთულისა და ავტონომიის დონის ზრდას, რაც კულმინაციას აღწევს მაგისტრატურისთვის შესაბამისი, კვლევაზე ორიენტირებული შედეგებით. სტრუქტურა თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა რთულ საგნებზე გადასვლამდე აუცილებელი კომპეტენციები შეიძინონ.

ვინაიდან პროგრამა დაფუძნებულია კომპიუტერული მეცნიერებების დარგობრივ მახასიათებელზე და შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოს განახლებულ სტანდარტებს, იგი აერთიანებს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებსა და კვლევის მიმდინარე ტენდენციებს. მაგისტრატურის დონის განათლება თავისთავად მოითხოვს თანამედროვე თეორიების, მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების შესწავლას. ამრიგად, პროგრამის ძირითადი შინაარსი და კვლევაზე ორიენტირებული არჩევითი საგნები უზრუნველყოფს ინფორმატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების სფეროში გლობალური განვითარების ტენდენციებთან მუდმივ შესაბამისობას.

პროგრამა გარკვეულწილად ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას და მხარს უჭერს გლობალური აკადემიური წყაროების, კვლევითი პუბლიკაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას. კომპიუტერული მეცნიერებები, როგორც დისციპლინა, გლობალურად სტანდარტიზებულია და მაგისტრატურის პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას. ინგლისურენოვანი გარემო კიდევ უფრო აახლოებს პროგრამას საერთაშორისო აკადემიურ და პროფესიულ მოლოდინებთან.

პროგრამის შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება, რაც მიუთითებს რომ პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, დარგობრივ მახასიათებელს და ეროვნულ კლასიფიკაციებს; ყოველივე ეს მოწმობს, რომ პროგრამის შემუშავებისას დაცული იყო სტანდარტული ინსტიტუციური პროცესები - როგორცაა სასწავლო გეგმის კომიტეტების, აკადემიური საბჭოების ჩართულობა და დარგის ექსპერტებთან კონსულტაციები.

პროგრამის აღწერა, მათ შორის კრედიტები, სტრუქტურა, კვალიფიკაცია და ეროვნულ ჩარჩოებთან შესაბამისობა, წარმოდგენილია საჯაროდ. ამრიგად, უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას თავის ოფიციალურ პლატფორმებზე, როგორებიცაა უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სარეკლამო მასალები. ინფორმაციის დეტალურად წარმოდგენა ხელს უწყობს გამჭვირვალობას და აკმაყოფილებს ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების ხარისხის სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ATSU-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA“ (აკადემიური საბჭოს დადგენილებები No49 (17/18), No39 (20/21), 15.07.2021, No8 (22/23), 16.09.2022)
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA
- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული მეცნიერებები“
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- სასწავლო გეგმის რუკის ანალიზი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.atsu.edu.ge
- გასაუბრების შედეგები

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაცია(ები): გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები</p>		
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)</p>		
<p>პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)</p>		

შეფასება

კომპონენტი 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო სფეროს აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერებების კლასტერის აკადემიური კურსების სტრუქტურირებულია, სტანდარტიზებულია, და მათი ხარისხი უზრუნველყოფილია აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით. თითოეული სილაბუსი მოიცავს მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და სავალდებულო/დამხმარე ლიტერატურას. კურსები პროგრამის სწავლის შედეგებთან (PLO) დაკავშირებულია I-P-M მოდელის (შესავალი-პრაქტიკა-დაუფლება) მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ლოგიკურ პროგრესიას და ცოდნის სრულად დაფარვას. კრედიტების განაწილება და საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათები შეესაბამება ECTS სტანდარტებს.

სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ხელმისაწვდომობა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით, უნივერსიტეტის ციფრულ კატალოგზე თავისუფალ წვდომასთან ერთად, აძლიერებს რესურსებსა და კურსის შედეგებს შორის შესაბამისობას. სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვები უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ხარისხის, აქტუალობის, რესურსებისა და ლექტორების კომპეტენციების ირიბ შეფასებას.

კლასტერის დონეზე, სისტემა უზრუნველყოფს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ სტანდარტებთან თანმიმდევრობას და შესაბამისობას. თუმცა, მნიშვნელოვანი პრობლემაა საბაკალავრო და სამაგისტრო სილაბუსების თემების დუბლირება. ზოგიერთი საგნობრივი მიმართულება - კერძოდ ობიექტ-

ორიენტირებული პროგრამირება, მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები - ორივე პროგრამაშია მოცემული. მართალია, უწყვეტობა გარკვეულწილად მოსალოდნელია, მაგრამ EQE მოითხოვს შეთავაზებულ კურსებს შორის ლოგიკურ პროგრესიას მათი კომპლექსურობის და სიღრმის თვალსაზრისით. (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე 6 → დონე 7).

პრაქტიკაში, საბაკალავრო დონეზე, ზოგიერთი სილაბუსი მოიცავს ძირითად კონცეფციებს (მაგ., კანონიკური ალგორითმების შესრულება, მონაცემთა სტრუქტურების აგება, დაპროგრამება(C++)), მაშინ როდესაც მაგისტრატურის სილაბუსები იმავე სფეროებს განიხილავს, მცირედი ცვლილებებით (მაგ., ალგორითმის მოდიფიკაცია, ემპირიული ეფექტურობის ანალიზი).

საბაკალავრო და სამაგისტრო საგნების არასაკმარისად დიფერენცირების შემთხვევაში, იქმნება დუბლირების რისკი. უფრო სტრუქტურირებული ჩარჩოს გარეშე, ჩნდება კითხვა, მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსები რამდენად შესძენენ სტუდენტებს ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც განსხვავდება სწავლების საბაკალავრო დონისგან.

ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი მიმართულებით, საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებს შორის განსხვავება მკაფიოა: მაგალითად, მონაცემთა ბაზები, საბაკალავრო პროგრამა მოიცავს რელაციურ მოდელებს და SQL-ს, ხოლო სამაგისტრო პროგრამა მოიცავს განაწილებულ, NoSQL და Big Data სისტემებს. აქედან ჩანს, თუ როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი ვერტიკალური შესაბამისობა კლასტერში.

რეკომენდაციები:

- ინტერნაციონალიზაცია შეზღუდულია; რეკომენდებულია, საბაკალავრო პროგრამა მოიცავდეს უახლეს კვლევით ნაშრომებს ან ACM/IEEE სტანდარტებს, ვინაიდან ბაკალავრიატის კურსები გამოყენებულია კლასიკური ლიტერატურა.
- სტუდენტის სამუშაო დატვირთვის განაწილება (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები) ერთგვაროვანია და არ ასახავს კურსებს შორის სირთულეს.
- დუბლირების რისკები: რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების, მაგალითად, ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირების, მონაცემთა სტრუქტურებისა და ალგორითმების უფრო მკაფიო გამოიჯვანა, მასშტაბისა და სიღრმის მიხედვით. რეკომენდებულია, მაგისტრატურის კურსები ხაზს უსვამდეს კვლევაზე ორიენტირებულ, ინოვაციურ და მოწინავე თემებს (მაგ., დიზაინის ნიმუშები, განაწილებული/პარალელური ალგორითმები, მოწინავე მონაცემთა სტრუქტურები).

ინდივიდუალური შეფასება -

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)

საბაკალავრო პროგრამა კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით მოიცავს პროგრამირების, მონაცემთა სტრუქტურების, ალგორითმების, კომპიუტერული არქიტექტურისა და მონაცემთა ბაზების

კურსებს. სასწავლო გეგმები მკაფიოდ განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების რუბრიკებს და ლიტერატურას. კრედიტების განაწილება ECTS სტანდარტების შესაბამისად ხდება (5 ECTS თითო კურსზე; 25 საათი თითო კრედიტზე) და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ბალანსი შეესაბამება კურსების დონესა და შინაარსს. თუმცა, არსებობს გარკვეული დუბლირების საფრთხე მაგისტრატურის კურსებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)

მაგისტრატურის პროგრამა საბაკალავრო პროგრამას ეფუძნება და მეტად ორიენტირებულია სპეციალიზაციასა და კვლევით კომპეტენციებზე. ისეთი კურსები, როგორცაა ფუნდამენტური ალგორითმები, მონაცემთა გაფართოებული სტრუქტურები, OOP და მონაცემთა ბაზები, შექმნილია უმაღლესი დონის უნარების განვითარებისთვის, რომლებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღწერილობებს: დამოუკიდებელი კვლევა, რთული პრობლემების კრიტიკული ანალიზი და პროფესიული პასუხისმგებლობა.

კრედიტების განაწილება ECTS-ის შესაბამისად ხდება, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაო საათების გადანაწილება ეფუძნება მეტ ავტონომიას. შეფასებები მოიცავს წერილობით გამოცდებს, კვლევაზე დაფუძნებულ პროექტებს და სადიპლომო ნაშრომის კომპონენტებს, რაც უზრუნველყოფს ყველა შედეგის შეფასებას.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, არსებობს ბაკალავრიატის კურსების დუბლირების რისკი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აწსუ-ს ბიბლიოთეკა - <http://www.library.atsu.edu.ge>
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცია(ები): გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების	რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები
--	---	---

	მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
ზოგადი რეკომენდაციები/ კლასტერის წინადადება	<p>რეკომენდებულია, კურსის შინაარსის გაძლიერება ბოლოდროინდელი კვლევითი ნაშრომების, ACM/IEEE სტანდარტებისა და გლობალური საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირებით, განსაკუთრებით ბაკალავრიატის დონეზე.</p> <p>რეკომენდებულია, გაასწოროთ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, რათა უკეთ იქნას გათვალისწინებული ინდივიდუალური კურსების სირთულე და მოთხოვნები.</p> <p>რეკომენდებულია, მკაფიოდ გაიმიჯნოს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სილაბუსების დუბლირებული მიმართულებები, მაგისტრატურის დონეზე კვლევაზე ორიენტირებულ და მოწინავე თემებზე ხაზგასმით.</p>	
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	1	
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	2	

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5. სასწავლო კურსი/საგანი	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ - ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე მიღების პროცედურები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საჯაროდ ხელმისაწვდომია. როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის პროგრამა უზრუნველყოფს, რომ მიღების მოთხოვნები შეესაბამებოდეს განათლების დონეს, პროგრამის შინაარსს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აწსუ-ს ვებგვერდზე, აბიტურიენტებისთვის განკუთვნილ გვერდზე, მუდმივად ქვეყნდება მიღების შესახებ ინფორმაცია; ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბუკლეტებსა და კატალოგებშიც, რაც შეესაბამება საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის ეროვნულ მოთხოვნებს.

კლასტერი სამართლიან და ინკლუზიურ მიდგომას ავლენს, რაც უცხოელი სტუდენტებისთვის, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის უზრუნველყოფს შიდა/გარე მობილობის გზებს, განათლების სამინისტროს რეგულაციების შესაბამისად. ეს უზრუნველყოფს ღიაობას და ამავდროულად, ეროვნული სტანდარტების დაცვას.

აწსუ ასევე იყენებს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას; ამგვარად უზრუნველყოფილია, რომ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მოცულობა შეესაბამებოდეს დაწესებულების რესურსებს, სასწავლო პერსონალის ექსპერტიზას და პროგრამის მახასიათებლებს. ეს ხელს უწყობს პროგრამის შეუფერხებელ ადმინისტრირებას, ასევე მოწმობს სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვისას, რესურსების ადეკვატურობის გათვალისწინებას.

ინდივიდუალური შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერებ, ბაკალავრიატი)

კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ზოგადი საშუალო განათლების დასრულება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.
- გამონაკლისები უცხოეთის მოქალაქეებისა და საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, ვინც განათლება საზღვარგარეთ მიიღეს, ასევე აკრედიტებული უცხოური ინსტიტუტებიდან კრედიტების ტრანსფერი ხდება კანონმდებლობის შესაბამისად.
- ჩარიცხვის ალტერნატიული გზები, შიდა და გარე მობილობის მექანიზმების მეშვეობით.

ეს მოთხოვნები შეესაბამება პროგრამის მახასიათებლებს, რადგან უზრუნველყოფს აბიტურიენტების მიერ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეზე წარმატების მისაღწევად საჭირო ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების ცოდნას. პროგრამის შინაარსთან კავშირი ლოგიკურია: ფართო ზოგადი განათლება უზრუნველყოფს საფუძველს კომპიუტერული მეცნიერებების ძირითადი საგნების დაუფლებისთვის.

რჩევები: სასურველია, პროგრამამ დანერგოს დამატებითი საორიენტაციო ან დამაკავშირებელი კურსები სხვადასხვა საგანმანათლებლო მიმართულების აბიტურიენტებისთვის, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სტუდენტებისთვის; თუმცა, აბიტურიენტთა ზოგადი მზადყოფნა უზრუნველყოფილია. სასურველია, გაუმჯობესდეს მიღების პროცესების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო კვალიფიკაციების უფრო სისტემატური აღიარებით და უცხოელი აპლიკანტების მოსაზიდად აქტიური რეკლამირებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერებები, მაგისტრატურა)

მაგისტრატურის პროგრამაზე მოსახვედრად საჭიროა;

- ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია.
- წარმატება საერთო სამაგისტრო გამოცდაში.
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების წარმატებით ჩაბარება; ეს გამოცდები მოიცავს:
 - კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალობის გამოცდა (წერილობითი ტესტი თეორიული და დახურული კითხვებით).
 - უცხო ენის გამოცდა (ინგლისური), გამონაკლისია მოქმედი B2 სერტიფიკატის წარდგენა (TOEFL, IELTS, Cambridge FCE ან აწსუ-ს ენების ცენტრის სერტიფიკატი).

ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ მიღებულ სტუდენტებს ჰქონდეთ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეზე სწავლისთვის საჭირო დისციპლინური ცოდნა, ანალიტიკური უნარები და ენობრივი კომპეტენცია. ინგლისური ენის მოთხოვნა პირდაპირ უწყობს ხელს ინტერნაციონალიზაციას, რადგან ის უზრუნველყოფს სტუდენტების საერთაშორისო რესურსებზე წვდომას და პოტენციურად მობილობაში ჩართვას.

რჩევები: სასურველია, შედარების რუბრიკებისა და ქულების დაწერის გამჭვირვალობის გაუმჯობესება, სამართლიანობის მტკიცებულებების გასამლიერებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“;

- სამაგისტრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება 87 (23/24), 28.02.2024 „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების, ასევე შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისთვის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ“
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://www.atsu.edu.ge>
- გასაუბრების შედეგები

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაცია(ები): გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>ზოგადი რეკომენდაციები/ კლასტერის წინადადება</p>		
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)</p>		<p>მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნები უზრუნველყოფს ზოგად მზადყოფნას, პროგრამამ შეიძლება განიხილოს დამატებითი საორიენტაციო ან დამაკავშირებელი კურსების შემოღება სხვადასხვა საგანმანათლებლო გამოცდილების მქონე აბიტურიენტებისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებისთვის. უცხოელი აპლიკანტების მოსაზიდად მიღების პროცესების ინტერნაციონალიზაცია შეიძლება გაძლიერდეს საერთაშორისო კვალიფიკაციების უფრო სისტემური აღიარებითა და აქტიური ხელშეწყობით.</p>

პროგრამა (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	2	მიუხედავად იმისა, რომ გამოცდის ფორმატები აღწერილია, სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, სასურველია შეფასების რუბრიკების და შეფასების გამჭვირვალობის დახვეწა.
---	---	--

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი <u>2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</u>	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერში არსებული პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, ასევე შემოქმედებითი/საშემსრულებლო უნარების განვითარებას, პროგრამის სტრუქტურირებული კომპონენტების მეშვეობით, რომლებიც შეესაბამება დასახულ სასწავლო შედეგებს. პრაქტიკული და შემოქმედებითი/საშემსრულებლო ელემენტები კარგად არის ორგანიზებული და დაგეგმილი განათლების დონის შესაბამისად, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, შეიძინონ თავიანთი სფეროსთვის შესაბამისი უნარები.

პროგრამები სარგებლობს ინდუსტრიასთან მჭიდრო პარტნიორობით, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პრაქტიკულ ასპექტს. კომპანიებიდან მოწვეული ლექტორები სტუდენტებს აწვდიან რეალური სამყაროს შესახებ ცოდნას და გამოყენებით უნარებს, ხოლო უნივერსიტეტმა ასევე ჩადო ინვესტიცია ისეთ რესურსებში, როგორცაა პროგრამირებადი დაფები (Arduino და მსგავსი ტექნოლოგიები). გარდა ამისა, რობოტექნიკის ბანაკი წარმოადგენს ეფექტურ პლატფორმას სტუდენტებისთვის, რათა მათ პრაქტიკაში

გამოიყენონ თეორიული ცოდნა და განვიტარონ შემოქმედებითი და პრობლემების გადაჭრის კომპეტენციები.

კვლევისა და სამეცნიერო ჩართულობის თვალსაზრისით, კლასტერი სტუდენტებს აძლევს სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას, თუმცა ჩართულობის დონე, განსაკუთრებით მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში, დამატებით გაძლიერებას საჭიროებს. ინსტიტუციური დოკუმენტი „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“ ხაზს უსვამს მოლოდინს, რომ სტუდენტებმა უნდა გამოავლინონ ორიგინალურობა, დამოუკიდებელი კვლევითი უნარები და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით რთული პრობლემების გადაჭრის უნარი. თუმცა, ყველა სამაგისტრო ნაშრომი პრაქტიკაში თანმიმდევრულად არ ასახავს ამ სტანდარტებს, რაც მიუთითებს მოწინავე კვლევითი უნარების განვითარების შემდგომი მხარდაჭერის საჭიროებაზე.

დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ცენტრებთან ხელმოწერილი შეთანხმებები და მემორანდუმები კიდევ უფრო ამყარებს პროგრამების პრაქტიკულ ორიენტაციას. ამ შეთანხმებებით, ფორმალიზებულია სტუდენტთა სტაჟირებები, განსაზღვრულია პრაქტიკის მიზნები, შედეგები და ხანგრძლივობა; ეს პირდაპირ უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საერთო ჯამში, პროგრამები უმეტესად შეესაბამება ამ ქვესტანდარტის მოთხოვნებს. პრაქტიკული და შემოქმედებითი/სამეცნიერო ელემენტები კარგად არის განვითარებული, ხოლო სამეცნიერო/კვლევითი ჩართულობა, განსაკუთრებით მაგისტრატურის დონეზე, კვლავ გასაუმჯობესებელ მხარედ რჩება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია, რომელიც აჩვენებს პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების გავლენას დასაქმებასა და შემდგომ განათლებაზე.
- სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები, რომლებიც ადასტურებს პროგრამების პრაქტიკული, შემოქმედებითი და კვლევითი კომპონენტების ეფექტურ განხორციელებას.
- დასრულებული პრაქტიკული კომპონენტების შესახებ ანგარიშები და დამხმარე დოკუმენტები, მათ შორის შეფასების შედეგები და უკუკავშირი, რომლებიც ადასტურებს მათ შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- დამსაქმებლებთან, ინდუსტრიის პარტნიორებთან და პრაქტიკის ცენტრებთან თანამშრომლობის შეთანხმებები და მემორანდუმები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტების რაოდენობა, მიზნები, შედეგები და პრაქტიკის ხანგრძლივობის განსაზღვრა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცია(ები): გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად	რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში
--	--	---

	ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
ზოგადი რეკომენდაციები/კლასტერის წინადადება		
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)		
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო და კვლევით პროექტებში, რათა სამაგისტრო ნაშრომის შედეგები მუდამ ორიგინალურობით გამოირჩეოდეს, ავლენდეს მოწინავე კვლევით უნარებს და პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად რთული პრობლემების გადაჭრის უნარს.	

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <u>2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</u>	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შემუშავებულია განათლების დონის, აკადემიური კურსების შინაარსისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების შესაბამისად. თითოეული კურსის სილაბუსი მკაფიოდ განსაზღვრავს შესაბამის მეთოდებსა და შეფასების ფორმებს, რაც უზრუნველყოფს დარგობრივ მახასიათებელთან თანმიმდევრულობას და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას. გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს როგორც თეორიულ გაგებას, ასევე სწავლის სფეროსთვის შესაბამისი გამოყენებითი უნარების განვითარებას.

გამოიყენება სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მიდგომა, მათ შორის ლექციები, სემინარები, ლაბორატორიული სამუშაოები, ჯგუფური პროექტები, შემთხვევის კვლევები და დამოუკიდებელი კვლევითი დავალებები. ეს კომბინაცია საშუალებას აძლევს სტუდენტებს აქტიურად ჩაერთონ კურსის მასალაში და გამოიყენონ ცოდნა პრაქტიკულ და ანალიტიკურ კონტექსტში. ამ მიდგომების მეშვეობით სტუდენტები ავითარებენ კომპეტენციებს კრიტიკულ აზროვნებაში, პრობლემების გადაჭრაში, გუნდურ მუშაობასა და კომუნიკაციაში - ყველაფერი ეს აუცილებელია პროფესიული და აკადემიური წინსვლისთვის.

პროგრამები ხაზს უსვამს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობასა და ურთიერთქმედებას, ხელს უწყობს თანამშრომლობას სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის, ასევე თანატოლებს შორის. სასწავლო გარემო ისეა სტრუქტურირებული, რომ წახალისოს ავტონომია და პასუხისმგებლობა, სადაც სტუდენტები აქტიურ როლს ასრულებენ დისკუსიებში, პრაქტიკულ დავალებებსა და პროექტებზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასეთი ჩართულობა ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური სწავლის უნარების განვითარებას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები ასევე მოქნილი და სტუდენტზე ორიენტირებულია, რაც საშუალებას იძლევა ადაპტირდეს ინდივიდუალურ აკადემიურ მზაობასთან, ინტერესებთან და საჭიროებებთან. აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს საკონსულტაციო საათებს, მენტორობას და ინდივიდუალური სწავლის შესაძლებლობებს, რათა დაეხმაროს სტუდენტებს, რომლებსაც დამატებითი ხელმძღვანელობა სჭირდებათ. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავებულია ინსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

საერთაშორისო სტუდენტებისა და გაცვლითი პროგრამის მონაწილეებისთვის, სწავლებისა და შეფასების დაგეგმვისას პერსონალი ითვალისწინებს ენობრივ და კულტურულ საჭიროებებს, უზრუნველყოფს ინკლუზიურობას და სასწავლო შესაძლებლობებზე თანაბარ წვდომას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მულტიკულტურული და დამხმარე გარემოს შექმნას, რაც ასახავს თანამედროვე აკადემიური მრავალფეროვნების პრინციპებს.

გარდა ამისა, პროგრამები მოიცავს ციფრულ და დისტანციური სწავლების ელემენტებს. უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონული სწავლების მართვის სისტემას (LMS), რომელიც უზრუნველყოფს წვდომას საკურსო მასალებზე, დავალებებსა და სტუდენტებსა და ლექტორებს შორის საკომუნიკაციო არხებზე. ეს უზრუნველყოფს აკადემიურ უწყვეტობას და მოქნილობას ისე, რომ არ აზიანებს პროგრამის ამოცანებსა თუ სწავლის შედეგებს.

საერთო ჯამში, კლასტერში სწავლებისა და სწავლის მეთოდები თანმიმდევრული, ინკლუზიური და შედეგზე ორიენტირებულია. ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, ხელს უწყობენ ავტონომიას და ეფექტურად უჭერენ მხარს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამები სრულად შეესაბამება ამ ქვესტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სწავლებისა და სწავლის მეთოდების ამსახველი საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები.
- კურსებზე განხორციელებული ინტერაქტიული და სტუდენტზე ორიენტირებული აქტივობების მაგალითები.
- კლასტერში პროგრამების განსახორციელებლად გამოყენებული ელექტრონული რესურსები.
- სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები, რომლებიც ადასტურებს სწავლებისა და სწავლის მეთოდების ეფექტურ გამოყენებას.

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაცია(ები): გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები</p>		
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)</p>		
<p>პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)</p>		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

<p>კომპონენტი 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>შეფასება</p>
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერებები, ბაკალავრიატი)</p>	<p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერებები, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
--	------------------------------

2.4. სტუდენტის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

უსდ-ს აქვს სტუდენტების შეფასების სათანადო, გამჭვირვალე და მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას. ეს პროცედურები უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიური მოსწრების ობიექტურ შეფასებას და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აწსუ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში სტუდენტების შეფასება ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობისა და უსდ-ს მარეგულირებელი აქტების სრული დაცვით, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სამართლიანობას და სწავლის შედეგებთან შესაბამისობას. შეფასების სისტემა საერთო კლასტერის ყველა პროგრამაში და ეფუძნება შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომბინაციას, მკაფიოდ განსაზღვრული ქულების, მინიმალური ზღვრებისა და კრიტერიუმების მიხედვით.

სტუდენტების შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით (№3, 05.01.2007 და №105/N) გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ ინსტიტუციურ დებულებებს (დადგენილებები №5 (17/18), №6 (22/23) და №16 (21/22)). ეს დოკუმენტები განსაზღვრავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების სტრუქტურასა და პროცედურებს და ერთგვაროვნად გამოიყენება კლასტერის ფარგლებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

შეფასება ტარდება 100-ქულიანი შკალით, სადაც შუალედური შეფასებისთვის 60 ქულაა გათვალისწინებული, ხოლო დასკვნითი გამოცდისთვის - 40 ქულა. შუალედური კომპონენტი მოიცავს:

- სტუდენტის აქტივობა (მაქსიმუმ 30 ქულა),
- შუალედური გამოცდა (მინიმუმ 30 ქულა)

დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად, სტუდენტებმა შუალედური შეფასებებიდან სულ მცირე 20 ქულა უნდა დააგროვონ, აქედან აქტივობასთან დაკავშირებული კომპონენტებიდან მინიმუმ - 12 ქულა. დასკვნითი გამოცდის ჩაბარების ზღვარი 16 ქულაა. სტუდენტებს, რომლებიც მიიღებენ FX-ს (41-50 ქულა), უფლება აქვთ, დამატებითი გამოცდა ჩააბარონ დასკვნითი გამოცდის შედეგებიდან ხუთი დღის განმავლობაში. დამატებითი გამოცდის ქულა ცვლის მხოლოდ დასკვნითი გამოცდის კომპონენტს და არ

ერწყმის დასკვნითი გამოცდის საწყის ქულას. 51 ქულაზე ნაკლები ფინალური ქულა ნიშნავს, რომ სტუდენტი ჩაიჭრა (F) და ვალდებულია, კურსი ხელახლა გაიაროს.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთ დადებით (A-E) და ორ უარყოფით (FX, F) შეფასებას, რომლებიც თანმიმდევრულად გამოიყენება კლასტერის ყველა პროგრამაში.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალედ ეცნობება სტუდენტებს სილაბუსების და თითოეული კურსის პირველი ლექციის გაცნობითი შეხვედრების მეშვეობით. თითოეული კურსის სილაბუსი დეტალურად აღწერს შეფასების კონკრეტულ კომპონენტებს და სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს შეფასებასა და მოსალოდნელ კომპეტენციებს შორის შესაბამისობას. შეფასების მიდგომა ადაპტირებულია კურსის შინაარსსა და სასწავლო მიზნებთან, რაც უზრუნველყოფს მოქნილობას ისე, რომ ინარჩუნებს სტანდარტების შესაბამისობას მთელ კლასტერში.

შეფასების ყველა შედეგი ქვეყნდება აწსუ-ს ელექტრონული სასწავლო მართვის პლატფორმის მეშვეობით (<http://edean.atsu.edu/ge/dekanati/>), რომელზეც სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური, კონფიდენციალური წვდომა. ეს პლატფორმა ხელს უწყობს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლისა და შეფასების პროცესის ეფექტურ და უსაფრთხო ადმინისტრირებას.

გამოცდების ტექნიკურ ორგანიზებას სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის საგამოცდო სექტორი მართავს, რაც უზრუნველყოფს საგამოცდო პროცედურების თანმიმდევრულობასა და სანდოობას.

უნივერსიტეტს აქვს გასაჩივრების ეფექტიანი, ოფიციალური პროცესი. აკადემიური საბჭოს №9 (17/18) დადგენილების თანახმად, სტუდენტებს, რომლებსაც სურთ დასკვნითი გამოცდის შედეგების გასაჩივრება, შეუძლიათ წერილობითი საჩივარი შეიტანონ, შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში. საჩივარს განიხილავს ფაკულტეტის კომისია, რომელსაც ქმნის დეკანი დეპარტამენტის რეკომენდაციით. სააპელაციო კომისიას შეუძლია სტუდენტის შეფასება უცვლელი დატოვოს ან გააუმჯობესოს, თუმცა არ აქვს მისი შემცირების უფლებამოსილება; ყველა გადაწყვეტილება ოფიციალურად დოკუმენტირებულია და დამუშავებულია დეკანატის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

სტუდენტების შეფასების სისტემის უწყვეტი გაუმჯობესება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია. პროგრამაში ცვლილებები, მათ შორის შეფასებასთან დაკავშირებული, ხდება ყოველწლიურად და აღირიცხება თვითშეფასების ანგარიშებში. PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლის გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების პრაქტიკის რეგულარულ გაუმჯობესებას სტუდენტების სწავლის მხარდასაჭერად და აკადემიური კეთილსინდისიერების შესანარჩუნებლად კლასტერის ყველა პროგრამაში.

შეჯამებისთვის, აწსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში გამოყენებული შეფასების მექანიზმები მოწმობს აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას. სისტემა კარგად სტრუქტურირებული, გამჭვირვალე, სტუდენტზე ორიენტირებული და სამართლებრივად დასაბუთებულია, რაც ეფექტურად უჭერს მხარს სწავლის შედეგების მიღწევას მთელ კლასტერში.

ინდივიდუალური შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერებები, ბაკალავრიატი)

სტუდენტების შეფასება

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება ეროვნული რეგულაციებისა და უსდ-ის შიდა პოლიტიკის შესაბამისად. შეფასების სისტემა სტრუქტურირებული, გამჭვირვალე და თითოეული კურსის სწავლის შედეგებთან შესაბამისია.

კურსის თითოეული კომპონენტი ფასდება 100-ქულიანი შკალით, საიდანაც 60 ქულა ენიჭება შუალედურ შეფასებებს (სტუდენტის აქტივობისა და შუალედური გამოცდის ჩათვლით), ხოლო 40 ქულა - დასკვნით გამოცდას. დასკვნით გამოცდებზე გასვლისა და თითოეული კურსის წარმატებით დასრულებისთვის დადგენილია მკაფიო ზღვრული ნორმები. შეფასება მოიცავს ხუთი ტიპის დადებით და ორი ტიპის უარყოფით შეფასებას, ხოლო სტუდენტებს, რომლებიც მიიღებენ **FX** შეფასებას, აქვთ შესაძლებლობა, ხუთი დღის განმავლობაში ხელახლა ჩააბარონ დამატებითი გამოცდა.

შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი თითოეული კურსის სილაბუსში; მათი გაცნობა ხდება პირველი ლექციაზე და მორგებულია საგნის სპეციფიკურ ბუნებაზე. სტუდენტებს საკუთარი შედეგების ხილვა შეუძლიათ დაცულ ელექტრონულ სისტემაში; რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და კონფიდენციალობას. უნივერსიტეტს ასევე აქვს გასაჩივრების ეფექტიანი და დამკვიდრებული მექანიზმი, რომელსაც არეგულირებს აკადემიური საბჭო; სტუდენტებს, დადგენილ ვადებში, შეუძლიათ დასკვნითი გამოცდის შედეგების გასაჩივრება.

საერთო ჯამში, შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სამართლიანობას, ხელს უწყობს აკადემიურ პროგრესს და მუდმივად იხვეწება რეგულარული განახლებებისა და უნივერსიტეტის PDCA ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მეშვეობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერებები, მაგისტრატურა)

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესი მკაფიოდ რეგულირდება, გამჭვირვალეა და შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებსა და ინსტიტუციურ პროცედურებს. ის უზრუნველყოფს სტუდენტების კვლევითი მუშაობის სამართლიან შეფასებას და ხელს უწყობს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

1. ვადები და პროცედურა

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი ასრულებს თავის ნაშრომს, რაც უზრუნველყოფს დროულ უკუკავშირს და დამთავრებისკენ მიმავალ პროგრესს. ნაშრომი ფასდება **ერთხელ**, დაცვის კომისიის მიერ ჩატარებული **საბოლოო შეფასების** საფუძველზე .

2. შეფასების სისტემა

ნაშრომის დაცვის კომისია ნაშრომს 100-ქულიანი შკალით აფასებს. საბოლოო ქულა კომისიის თითოეული წევრის მიერ მოწოდებული ინდივიდუალური შეფასებების საშუალოა. შეფასების სისტემა სტანდარტიზებულ კრიტერიუმებს ეფუძნება და მოიცავს:

- დადებითი შეფასების ხუთი ტიპი:
 - (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
 - (B) ძალიან კარგი – 81–90 ქულა
 - (C) კარგი - 71-80 ქულა;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
 - (E) საკმარისი - 51-60 ქულა;
- ორი სახის უარყოფითი შეფასება:
 - (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა: სტუდენტს შეუძლია შეასწოროს და ხელახლა წარადგინოს ნაშრომი მომდევნო სემესტრში.
 - (F) ჩაჭრილი – 0-40 ქულა: სტუდენტი კარგავს იმავე საკვლევი თემის ხელახლა წარდგენის უფლებას.

3. შეფასების კრიტერიუმები

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მკაფიოდ განსაზღვრული და გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით. შესაძლებელია მაქსიმუმ 100 ქულის მინიჭება, რაც შემდეგნაირად იყოფა:

- ფორმალური ასპექტები (10 ქულა):

მოიცავს ფორმატირების სტანდარტების დაცვას, სტრუქტურას (შინაარსი, დასკვნა) და გამოყენებული წყაროების ხარისხს (ლიტერატურა/ვებ წყაროები).
- ნაშრომის შინაარსი (60 ქულა):
 - თემის აქტუალობა - 15 ქულა
 - სამეცნიერო სიახლე - 15 ქულა
 - შესრულების ხარისხი - 15 ქულა
 - პროექტისა და კომპიუტერული პროგრამის გამოყენება– 10 ქულა
- ნაშრომის პრეზენტაცია (30 ქულა):

- ზეპირი პრეზენტაციის უნარი - 10 ქულა
- ტექნიკური და ვიზუალური პრეზენტაცია - 10 ქულა
- დაცვის დროს ექსპერტთა შეფასება - 10 ქულა

დაცვის ეტაპზე გადის მხოლოდ ის ნაშრომები, რომლებიც დადებით შეფასებას იღებს როგორც ხელმძღვანელისგან, ასევე რეცენზენტ(ებ)ისგან.

4. დოკუმენტირება და დაარქივება

დასკვნითი შეფასება ფორმალურად დასტურდება ოფიციალური ოქმით. ნაშრომები შესაბამის დაპარტამენტში ინახება 5 წლის ვადით; რის შემდეგაც ისინი არქივდება აწსუს-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად.

5. შესაბამისობა და ხარისხის უზრუნველყოფა

კომპიუტერულ;ი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამაზე ნაშრომის შეფასების პროცესის სტრუქტურა და გამოყენება სრულ შემსაბამისობაშია დაწესებულების და ეროვნულ მოთხოვნებთან. მკაფიო, გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენება ხელს უწყობს ობიექტურ შეფასებას, ხოლო გასაჩივრების და ნაშრომის ხელახლა წარდგენის ვარიანტები უზრუნველყოფს სამართლიანობისა და უწყვეტი გაუმჯობესების მექანიზმებს.

დასკვნა:

კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას აქვს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კარგად შემუშავებული, სტრუქტურირებული და გამჭვირვალე პროცესი. ის უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ხელს უწყობს სტუდენტების მიღწევებს და ასახავს პროგრამის ფარგლებში ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისადმი ერთგულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“ (ბაკალავრიატის დონე)
- სამაგისტრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“
- სასწავლო კურსების სილაბუსები, მათ შორის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები
- აწსუს-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №6 (22/23) – სტუდენტების შეფასების სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ (დადგენილება №5 (17/18), დ 15.09.2017)
- აწსუს-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №16 (20/21) – ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებში ცვლილებების შეტანის შესახებ

- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №9 (17/18) – გამოცდების გასაჩივრების პროცედურის შესახებ
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №52 (22/23) – სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წესის დამტკიცების შესახებ
- საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების სახელმძღვანელო
- ელექტრონული სასწავლო პროცესის მართვის სისტემა (<http://edean.atsu.edu.ge/dekanati/>) – დემონსტრირება და ახსნა ადგილზე ვიზიტისას
- აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება- შეფასების წესებისა და კრიტერიუმების გაგებისა და თანმიმდევრული გამოყენების დადასტურება.
- სტუდენტებთან გასაუბრება - შეფასების მეთოდების, ელექტრონული სისტემის გამოყენების და სააპელაციო პროცედურების ცოდნის დადასტურება.
- ადგილზე ვიზიტის დაკვირვებები - სტუდენტების შეფასების ტექნიკური და ადმინისტრაციული ორგანიზაციისა და სააპელაციო სისტემის ფუნქციონირების დადასტურება.
- უმაღლესი განათლების პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში - მათ შორის, უწყვეტი გაუმჯობესებისა და PDCA ციკლის განხორციელების მითითებით.

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაცია(ები): გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები</p>		
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერებები, ბაკალავრიატი)</p>		<p>სასურველია, გამოცდებთან ერთად პრაქტიკული დავალებების და პროექტების დანერგვა, სტუდენტთა უნარების უკეთ შესაფასებლად.</p>
<p>პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერებები, მაგისტრატურა)</p>		<p>სასურველია, ნაშრომის შემუშავების პროცესში ჩართოთ განმავითარებელი შუალედური შეფასებები, რომლებსაც ძირითადად ხელმძღვანელი ატარებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მულტივი ხელმძღვანელობა და</p>

		ადრეული უკუკავშირი ისე, რომ ამან გავლენა არ მოახდინოს საბოლოო შემაჯამებელ შეფასებაზე.
--	--	---

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი	შეფასება
2.4. სტუდენტის შეფასება	
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას ყოვლისმომცველი დამხმარე სერვისების მიწოდებით და სტუდენტების მაღალი დონის ცნობიერების უზრუნველყოფით. ის აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების მონაწილეობას მრავალფეროვან აქტივობებში და ხელს უწყობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ძლიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობას, მხარს უჭერს რა მათ აკადემიურ და კვლევით განვითარებას.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების და კარიერული განვითარების მიმართულებით; ეს ხდება როგორც პერსონალის, ისე შესაბამისი ინსტიტუციური ერთეულების დახმარებით. სტუდენტები სარგებლობენ მრავალფეროვანი და კარგად სტრუქტურირებული სასწავლო გამოცდილებით, რასაც ხელს უწყობს შესაბამის ინფორმაციაზე დროული წვდომა და პროგრამაში ჩართული კვალიფიციური პერსონალის ხელმძღვანელობა.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

აწსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ავლენს ძლიერ, სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ეფექტურად აერთიანებს აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე სერვისებს სტუდენტების სწავლის შედეგებისა და ჩართულობის გასაუმჯობესებლად.

სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ერთობლივ კვლევით პროექტებში ფაკულტეტის წევრებთან ერთად, რაც ხელს უწყობს გამოცდილებით სწავლას და აძლიერებს აკადემიურ თანამშრომლობას. პროგრამა სტიმულს აძლევს სტუდენტებს, რომ ჩაერთონ კონფერენციებში, ტრენინგებსა და კვლევით აქტივობებში და ამისთვის იყენებს სტიპენდიების კრიტერიუმებს, რითაც აქტიური მონაწილეობის დაჯილდოება ხდება. ფაკულტეტის წევრები იღებენ ერთჯერად ბონუსს საერთაშორისო სტატიების გამოქვეყნებისთვის, რაც ასახავს კვლევითი ბრწყინვალეობის კულტურას.

თვითმეფასების ჯგუფი უზრუნველყოფს უწყვეტ მონიტორინგსა და გაუმჯობესებას, სტუდენტების შედეგებზე მკაფიო ორიენტაციით. პროგრამის ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ სტრუქტურირებულ ხელმძღვანელობას როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის დონეზე; მაგისტრატურის თითოეული სტუდენტისთვის 2-3 ხელმძღვანელია გამოყოფილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზანმიმართული აკადემიური მენტორობა.

უნივერსიტეტი დამსაქმებლებთან ინარჩუნებს ფორმალურ შეთანხმებებს (მემორანდუმებს), რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ სტაჟირებას როგორც კამპუსში, ასევე გარე კომპანიებში; ამჟამად აქტიურია 5-6 პარტნიორობა, რომლებიც მხარს უჭერენ სტუდენტების სამუშაო გამოცდილებას. კარიერული სერვისები კარგად ინტეგრირებულია, უზრუნველყოფილია ელექტრონულ მხარდაჭერაზე წვდომა, შეტყობინებები დასაქმების შესაძლებლობებსა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის შესახებ.

სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური სტუდენტებს სთავაზობს მრავალრიზიან წვდომას, მათ შორის ელექტრონულ კომუნიკაციას, საჩივრების, სტიპენდიების, კონფერენციებში მონაწილეობის და სხვა საკითხების განსახილველად. ომბუდსმენი და ფსიქოლოგიური კონსულტაციის სამსახურები უზრუნველყოფენ აუცილებელ დაცვასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერას. სტუდენტი ტუტორები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ანაზღაურებად ასისტენტებად და ტრენერებად ისეთ აქტივობებში, როგორცაა რობოტიკის ბანაკები და ლაბორატორიული მხარდაჭერა, 24/7 -ზე უზრუნველყოფენ თანატოლთა მენტორობას აკადემიური კონსულტაციებისა და გამოცდებისთვის მომზადებისთვის.

აკადემიური პერსონალი მოიცავს როგორც სრულ განაკვეთზე მომუშავე, ასევე მოწვეულ ექსპერტებს, რომლებსაც სტუდენტები მუდმივად აფასებენ სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. ფართოდ აღიარებულია ინგლისური ენის სწავლების გაფართოების აუცილებლობა; ამაზე რეაგირება ხდება ახლადშემუშავებული სილაბუსით, პროგრამირების და მანქანური ენის კურსების მეშვეობით.

სტუდენტური თვითმმართველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქტიური ჩართულობის, სამოქალაქო განათლებისა და კულტურული გაცვლის ხელშეწყობაში. წახალისებულია დამატებითი კლასგარეშე ინიციატივები, როგორცაა გამოწვევები, ჰაკათონები და ინოვაციურ პროექტებში ჩართულობა, პროგრამის ახალ დიზაინში ამ გეგმების ინტეგრირებით.

ფაკულტეტმა COVID-19-ის გამოწვევებთან სწრაფი ადაპტაცია გამოავლინა სრულად ონლაინ სწავლებაზე გადასვლით და პრაქტიკული კომპონენტების შესაბამისად კორექტირებით, მათ შორის გამოცდების მოქნილი გრაფიკით. ბიბლიოთეკის სერვისები სრულად ციფრულად ფუნქციონირებს, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ რესურსებზე უწყვეტ წვდომას.

სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტების ზრდას და ტრენინგის შესაძლებლობების გაფართოებას. ახალი

პროგრამების დანერგვა ასახავს ამ მონაცემებს და უზრუნველყოფს სტუდენტების ინტერესებთან და შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას.

საერთო ჯამში, კლასტერი წარმოადგენს ყოვლისმომცველ და დინამიურ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების წარმატებაზე აქტიური კვლევითი ჩართულობის, ყოვლისმომცველი დამხმარე სერვისებისა და დამსაქმებლებთან მჭიდრო კავშირების გზით. ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი პროცესები და ცვალებად გარემოებებთან ადაპტირება უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალურობას და სტუდენტებისა და შრომის ბაზრის საჭიროებების დაკმაყოფილებას. სტუდენტების უკუკავშირისა და ადმინისტრაციული ჩართულობის ინტეგრაცია ხელს უწყობს მუდმივი გაუმჯობესებისა და ინოვაციების კულტურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის პორტალი (https://atsu.edu.ge/ge/office/11-student_services/main), სადაც დეტალურად არის აღწერილი სტუდენტების დახმარების არსებული პროგრამები.
- აწსუ-ს ტუტორების პროგრამის საინფორმაციო გვერდი (<https://atsu.edu.ge/index.php/tutoring-info>), სადაც აღწერილია თანატოლთა ტუტორობისა და აკადემიური მხარდაჭერის სერვისები.
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის რესურსები (<https://atsu.edu.ge/index.php/carrier-development-info>), რომლებიც ასახავს დასაქმების ხელშეწყობის ძალისხმევას.
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №39 (13/14) „კურატორის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“, რომელიც ადგენს სტუდენტების აკადემიური ხელმძღვანელობის სახელმძღვანელო პრინციპებს.
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №30(17/18), რომლითაც დამტკიცდა „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის მორგებულ აკადემიურ გზებს.
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი (www.atu.edu.ge), რომელიც იძლევა ყოვლისმომცველ ინფორმაციას უნივერსიტეტის პოლიტიკის, აკადემიური პროგრამებისა და დამხმარე სერვისების შესახებ.
- ინტერვიუები, ადგილზე დაკვირვებები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცია(ები): გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
--	--	--

კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		სასურველია, აკადემიური და კარიერული კონსულტანტებისათვის რეგულარული ტრენინგების ჩატარება, რათა მათ ჰქონდეთ უახლესი ინფორმაცია საუკეთესო პრაქტიკის, შრომის ბაზრის ტენდენციებისა და სტუდენტების მრავალფეროვანი საჭიროებების შესახებ.
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	1	
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	2	

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელები ეფექტიან მხარდაჭერას უწევენ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს მათი კვლევის შესრულებაში; უზრუნველყოფილია სტუდენტისა და ხელმძღვანელის ოპტიმალური თანაფარდობა, სათანადო ხელმძღვანელობისთვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ეფექტიან ხელმძღვანელობას, რომელიც შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს. თითოეულ მაგისტრანტს ენიჭება კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელი მათი კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ ინდივიდუალურ კონსულტაციებს ნაშრომის მთელი პროცესის განმავლობაში. ხელმძღვანელები ეხმარებიან სტუდენტებს კვლევის დაგეგმვაში, მეთოდოლოგიაში, პრობლემების გადაჭრაში და აკონტროლებენ პროგრესს, უზრუნველყოფენ სათანადო ხელმძღვანელობასა და მხარდაჭერას.

პროგრამა არეგულირებს ნაშრომის საკვლევო თემების შერჩევასა და დამტკიცებას მკაფიო სასწავლო გეგმის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას. ხელმძღვანელი ინარჩუნებს მჭიდრო კომუნიკაციას სტუდენტებთან და სთავაზობს ხელმისაწვდომ კონსულტაციებს, მათ შორის, სამუშაო საათების გარეთაც, აკადემიური და კვლევითი გამოწვევების გადასაჭრელად.

დაწესებულების რეგულაციების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი - პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენისა და დეპარტამენტისა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცების საფუძველზე. ხელმძღვანელებს ოფიციალურად ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო და რექტორი. თანახელმძღვანელობა ასევე დაშვებულია კვლევითი საქმიანობების საფუძველზე და თითოეულ ხელმძღვანელს შეიძლება ერთდროულად დაენიშნოს მაქსიმუმ ხუთი სტუდენტი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო დატვირთვის სათანადო განაწილებას და ხარისხის მხარდაჭერას.

სტუდენტებისთვის დამატებითი მხარდაჭერა მოიცავს ფაკულტეტთან ერთობლივ კვლევაში ჩართულობის, კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობის და ზედამხედველობის ქვეშ მასწავლებლის ასისტენტის ან ლაბორატორიის ასისტენტის როლების შესრულების შესაძლებლობებს. ეს მექანიზმები ხელს უწყობს აკადემიურ ზრდას და აძლიერებს კავშირს კვლევისა და სწავლებას შორის.

საერთო ჯამში, პროგრამა უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ, სტუდენტზე ორიენტირებულ ზედამხედველობის ჩარჩოს, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით დასრულებას და მხარს უჭერს როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ განვითარებას.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები
პროგრამა 1 (სახელი, დონე)⁴ პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერებები, სამაგისტრო)

⁴ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	11
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	-
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	10
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	-
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	1.1
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №38 (20/21), 2021 წლის 15 ივლისი
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №52 (22/23) – სამაგისტრო ნაშრომების მომზადების წესის დამტკიცების შესახებ
- პერსონალის მონაცემები
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიუები, ადგილზე დაკვირვებები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცია(ები): გთხოვთ, ჩამოწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, პროგრამამ განიხილოს სტუდენტებისა და ხელმძღვანელებისთვის არასავალდებულო მეთოდოლოგიური

		ვორქშოპების ან სემინარების ორგანიზება, რომლებიც ფოკუსირებული იქნება კვლევის დიზაინზე, აკადემიურ წერასა და კვლევაში ეთიკურ სტანდარტებზე.
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერებები, ბაკალავრიატი)		
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერებები, მაგისტრატურა)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერული პროგრამები ხორციელდება კვალიფიციური და დაბალანსებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შემადგენლობით. პერსონალის ჩართულობა შეესაბამება აწესებს კანონმდებლობასა და შინაგანაწესს, ამასთან, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათთვის განსაზღვრულ ფუნქციებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება დოქტორის ხარისხით, პუბლიკაციებით, სწავლების გამოცდილებით და პროფესიული საქმიანობით კომპიუტერულ მეცნიერებასა და მომიჯნავე დარგებში.

უნივერსიტეტი ინარჩუნებს აკადემიური დატვირთვის სქემას, რომელიც განიხილება და განახლება ყოველ სემესტრში და მოიცავს სწავლების, კვლევისა და სტუდენტებთან კონსულტაციის საათებს. ეს უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების სწორად განაწილებას და ხელს უშლის გადატვირთვას სხვადასხვა პროგრამებსა თუ დაწესებულებებში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, აგრეთვე აფილირებულ და არააფილირებულ წევრებს შორის თანაფარდობა შესაბამისია პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. პერსონალის რაოდენობა შეესაბამება სტუდენტების რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ მენტორობასა და აკადემიურ ხელმძღვანელობას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა რჩება დაბალი, რაც ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტობასა და სტაბილურობას. ორივე პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია საჭირო აკადემიური კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება და ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის მართვაში, სტუდენტთა კონსულტირებასა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესებში. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ადეკვატურია რაოდენობისა და კვალიფიკაციის თვალსაზრისით, რაც პერსონალისა და სტუდენტებისთვის დროულ და კომპეტენტურ დახმარებას უზრუნველყოფს.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები ადასტურებს ადეკვატური ადამიანური რესურსის არსებობას და კვალიფიკაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო დახვეწოს კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის შიდა მიდგომა. კერძოდ, აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობის შესაფასებლად მკაფიო ინდიკატორების ან თვისებრივი კრიტერიუმების დადგენა ხელს შეუწყობს უფრო თანმიმდევრულ ზედამხედველობას და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ეს შემოთავაზებულია, როგორც რჩევა და არა რეკომენდაცია, რადგან არსებული სისტემა აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს, თუმცა შესაძლებელია გაუმჯობესდეს გრძელვადიანი ეფექტურობისთვის.

საერთო ჯამში, კლასტერი ავლენს ადამიანური რესურსის ეფექტიან და მდგრად სტრუქტურას. კვალიფიკაციები, დატვირთვის ბალანსი და მხარდამჭერი მექანიზმები სრულად შეესაბამება ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდივიდუალური შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდის მიერ, რომელთა კომპეტენციები და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ლექტორთა დაახლოებით ნახევარი (11) არის მოწვეული პროფესიონალი ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სექტორიდან, რომელთაგან ხუთს გააჩნია დოქტორის ხარისხი შესაბამის დარგში. მათი ჩართულობა შეესაბამება აწსუ-ში არსებულ პროცედურებს და უმაღლესი განათლების კანონმდებლობას.

აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის თეორიულ საფუძველს, მაშინ როდესაც მოწვეული ლექტორებს, რომელთაგან ბევრი აწსუ-ს კურსდამთავრებულია და ამჟამად დასაქმებულია ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ინდუსტრიაში, შემოაქვთ ღირებული პრაქტიკული ცოდნა. ეს კომბინაცია ხელს უწყობს ბალანსის დაცვას აკადემიურ ცოდნასა და გამოყენებით უნარებს შორის, განსაკუთრებით ისეთ კურსებში, როგორცაა: კიბერუსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი, ეთიკური ჰაკერობა და პროგრამირების ენები.

აკადემიური დატვირთვის სქემები განახლდება ყოველ სემესტრში და მოიცავს სწავლების, კვლევისა და კონსულტაციის აქტივობებს. ეს იძლევა პასუხისმგებლობების სამართლიანი განაწილების საშუალებას და უზრუნველყოფს სტუდენტთა ხელმძღვანელობისთვის საკმარის დროს. პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა ადეკვატურია პერსონალიზებული სწავლებისთვის, ხოლო კონსულტაციის საათები ინტეგრირებულია პერსონალის მოვალეობებში. აფილირებული აკადემიური პერსონალის პროპორცია უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, ხოლო დენადობის დაბალი მაჩვენებელი ხელს უწყობს გრძელვადიან უწყვეტობასა და ხარისხს.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დოქტორის ხარისხი და აკადემიური და მენეჯერული გამოცდილება აღნიშნულ სფეროში. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ეფექტიანად უწყობს ხელს სასწავლო პროცესს, უზრუნველყოფს შეუფერხებელ კომუნიკაციასა და ტექნიკურ დახმარებას როგორც ლექტორებისთვის, ისე სტუდენტებისთვის.

საერთო ჯამში, პერსონალით დაკომპლექტების სტრუქტურა, ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის და სამუშაო დატვირთვის მართვა სრულად აკმაყოფილებს ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდივიდუალური შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ძირითადად ხორციელდება აწსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ, რაც უზრუნველყოფს უწყვეტობას და კვლევასა და სწავლებას შორის მჭიდრო კავშირს. 13 პერსონალიდან 12-ს უკავია აკადემიური თანამდებობა აწსუ-ში, ხოლო ერთი არის მოწვეული ლექტორი დოქტორის ხარისხით. ყველა მათგანს გააჩნია პროგრამის სამეცნიერო და პროფესიული ფოკუსისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია.

პერსონალის ჩართულობა შეესაბამება უნივერსიტეტის შინაგანაწესს და ეროვნულ საკანონმდებლო მოთხოვნებს. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა ახლდება ყოველ სემესტრში და მოიცავს სწავლების, კვლევისა და კონსულტაციის საათებს. ლექტორების რაოდენობა შეესაბამება სტუდენტთა რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ ხელმძღვანელობასა და მენტორობას, განსაკუთრებით კვლევისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების მაჩვენებელი შეიძლება გაუმჯობესდეს, მათი ექსპერტიზა, პროფესიული შედეგები და პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა ადასტურებს საკვალიფიკაციო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას. პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს ყველა ინსტიტუციურ და სამართლებრივ მოთხოვნას, ფლობს დოქტორის ხარისხს და აქტიურად მონაწილეობს სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პროგრამის მონიტორინგსა და სამაგისტრო კვლევების ხელმძღვანელობაში. ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს გააჩნია ადეკვატური კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო პროცესს ეფექტიანად უჭერს მხარს.

სამაგისტრო პროგრამა აჩვენებს მდგრად და კარგად სტრუქტურირებულ აკადემიურ გარემოს, სადაც პერსონალის კვალიფიკაცია, დატვირთვა და სტუდენტებთან თანაფარდობა უზრუნველყოფს სწავლებისა და ხელმძღვანელობის მაღალ ხარისხს. პროგრამა სრულად შეესაბამება ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) ⁵				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	23			
- პროფესორი	2			
- ასოცირებული პროფესორი	8		2	
- ასისტენტ-პროფესორი	2		1	
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	11	6	5	–

⁵ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო პერსონალი				-
----------------------	--	--	--	---

პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) ⁸				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი⁹	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹⁰	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	13			
- პროფესორი	3			
- ასოცირებული პროფესორი	8	1	1	
- ასისტენტ-პროფესორი	1			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	1		1	-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

⁸ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

⁹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁰ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნები და აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
- ინფორმაცია პუბლიკაციების, პრაქტიკული პროექტების და სწავლების ხარისხის სტუდენტური შეფასებების შესახებ.
- პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქციები და ჩანაწერები, რომლებიც ადასტურებს მათ ჩართულობას პროგრამის განვითარებასა და სტუდენტთა კონსულტირებაში.
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები და ჩანაწერები.
- აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები.

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაცი(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები:</p>		<p>სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს დამატებითი ინდიკატორების ან სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მონიტორინგისთვის, რათა კიდევ უფრო გააუმჯობესოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების თანმიმდევრულობა.</p> <p>სასურველია, ინგლისურის სწავლების მხარდაჭერა, აწსუ-ს ინტერნაციონალიზაციის მიზნების შესაბამისად.</p>
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)</p>		
<p>პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო)</p>		

საგანმანათლებლო პროგრამა)		
------------------------------	--	--

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელებისთვის, რომლებიც შეესაბამება როგორც ინსტიტუციურ პოლიტიკას, ისე სამაგისტრო დონეზე ხელმძღვანელობის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. ხელმძღვანელები ინიშნებიან შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის, კვლევითი შედეგებისა და დარგის სპეციფიკური ცოდნის საფუძველზე. ყველა მოქმედ ხელმძღვანელს გააჩნია დოქტორის ხარისხი ინფორმატიკის ან მასთან დაკავშირებულ სფეროებში და ფლობს უახლეს ცოდნას, რაც საშუალებას აძლევთ ეფექტურად გაუძღვნენ სტუდენტებს კვლევის დაგეგმვის, მეთოდოლოგიის შემუშავების და განხორციელების პროცესებში.

ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს მათი ცოდნისა და სტუდენტების კვლევითი თემების თანხვედრას. თანახელმძღვანელების ჩართულობა მათ დამატებით პროფესიულ ან კვლევით გამოცდილებას სთავაზობს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს აკადემიური მენტორობის ხარისხს. უნივერსიტეტი ინარჩუნებს მკაფიო შიდა პროცედურებს ხელმძღვანელის დანიშვნისთვის, რაც უზრუნველყოფს დატვირთვის დაბალანსებას და რეგულარულ კომუნიკაციას სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის.

საერთო ჯამში, ხელმძღვანელების კვალიფიკაციები, გამოცდილება და ჩართულობა სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. კლასტერი სრულად აკმაყოფილებს ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდივიდუალური შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საბაკალავრო საფეხურზე სადიპლომო ნაშრომის ფორმალური ხელმძღვანელობა არ არის სავალდებულო; თუმცა, სტუდენტები სარგებლობენ სტრუქტურირებული აკადემიური და პრაქტიკული მენტორობით სასწავლო კურსებისა და პროექტებზე დაფუძნებული კომპონენტების ფარგლებში. კვალიფიციური აკადემიური პერსონალი და მოწვეული პრაქტიკოსები სტუდენტებს მხარს უჭერენ კონსულტაციების, ლაბორატორიული სესიებისა და ინდივიდუალური დავალებების მეშვეობით, რითაც უზრუნველყოფილია ეფექტიანი ხელმძღვანელობა და უნარების განვითარება.

მენტორობის აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანმიმდევრული აკადემიური უკუკავშირის მიცემას და ხელს უწყობს ანალიტიკური, საკომუნიკაციო და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. მენტორობის პროცესი შეესაბამება პროგრამის დონესა და შინაარსს და უზრუნველყოფს განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა აკმაყოფილებს ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდივიდუალური შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სამაგისტრო საფეხურზე ხელმძღვანელობა თითქმის ექსკლუზიურად ხორციელდება აწსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ, რომლებიც დანიშნულნი არიან გამჭვირვალე ინსტიტუციური კრიტერიუმების შესაბამისად, რაც შეესაბამება ეროვნულ რეგულაციებსა და ხელმძღვანელობის საერთაშორისო სტანდარტებს. ყველა ხელმძღვანელს გააჩნია დოქტორის ხარისხი და შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, რაც სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომებისთვის სათანადო სამეცნიერო და მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს.

ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულები სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში, და მათი კვალიფიკაციები და გამოცდილება შეესაბამება პროგრამის მიზნებს. სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნა, ზოგადად, კარგად არის შეთავსებული სტუდენტის კვლევით ინტერესთან, ხოლო თანახელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს დამატებით აკადემიურ ან პროფესიულ მხარდაჭრას. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელმძღვანელის სპეციალიზაციასა და სტუდენტის მიერ

არჩეულ თემას შორის არ არის სრული შესაბამისობა, რამაც შეიძლება შეზღუდოს აკადემიური ხელმძღვანელობის სიღრმე.

უნივერსიტეტში ხელმძღვანელობის შიდა ჩარჩო განსაზღვრავს დატვირთვის განაწილებასა და კონსულტაციის საათებს, რაც უზრუნველყოფს დაბალანსებულ პასუხისმგებლობებსა და საკმარის დროს სტუდენტების ინდივიდუალური მხარდაჭერისთვის. ხელმძღვანელები ინარჩუნებენ მუდმივ კომუნიკაციას სტუდენტებთან, უზრუნველყოფენ უწყვეტ უკუკავშირს და იცავენ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევითი ეთიკის პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ახალისებს სამეცნიერო პუბლიკაციებსა და კვლევებში მონაწილეობას, ეს შესაძლებლობები შეიძლება უფრო მეტად იქნას გამოყენებული კვლევის გაძლიერების მიზნით.

საერთო ჯამში, ხელმძღვანელების კვალიფიკაცია, ჩართულობა და ხელმძღვანელობის პროცესები შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკურ მოლოდინებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან. პროგრამა შეესაბამება ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)¹¹			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები¹²	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	12		
- პროფესორი	3		
- ასოცირებული პროფესორი	7		
- ასისტენტ-პროფესორი	1		
მოწვეული პერსონალი	1	1	–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამაგისტრო ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელებისთვის.

¹¹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹² საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

- ხელმძღვანელების პირადი საქმეები და CV-ები, რომლებიც ადასტურებს მოთხოვნებთან შესაბამისობას.
- სამეცნიერო პუბლიკაციების და კვლევითი პროექტების ჩანაწერები ხელმძღვანელების მონაწილეობით.
- სამაგისტრო ნაშრომების თემები და განაწილების ჩანაწერები, რომლებიც აჩვენებს ხელმძღვანელ-სტუდენტის შესაბამისობას.
- ხელმძღვანელთან და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაცი(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები:</p>		<p>სასურველია, ხელი შეეწყოს ხელმძღვანელებს, რომ სრულად გამოიყენონ ინსტიტუციის კვლევისა და გამოქვეყნების წახალისების მექანიზმი, რითაც გაუმჯობესდება მათი სამეცნიერო აქტივობა და ხელმძღვანელობის ხარისხი.</p> <p>სასურველია, გაძლიერდეს სადიპლომო ნაშრომის თემებსა და ხელმძღვანელების გამოცდილებას შორის შესაბამისობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს უფრო მჭიდრო თანხვედრა და სტუდენტებისთვის უფრო ღრმა აკადემიური მხარდაჭერა.</p>
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)</p>		
<p>პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)</p>		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

აწსუ სისტემატურად აფასებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობას, შეფასების პროცესში სწავლებისა და კვლევითი აქტივობების ინტეგრირებით. ამ შეფასებების შედეგები, პერსონალის კმაყოფილების კვლევებთან ერთად, აქტიურად ანალიზდება და გამოიყენება პროფესიული განვითარების, დაწინაურებისა და გაუმჯობესების ინიციატივებისთვის. ეს პროცესი უზრუნველყოფს მკაფიო და მიკვლევად კავშირს საქმიანობის შეფასებასა და აკადემიური ხარისხის გაუმჯობესებას შორის.

უნივერსიტეტი აწყობს პროფესიული განვითარების რეგულარულ ღონისძიებებს წელიწადში ერთხელ მაინც აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის, მათ შორის პროგრამების ხელმძღვანელებისა და სამაგისტრო სტუდენტების ხელმძღვანელებისთვის. ეს აქტივობები ფოკუსირებულია სწავლების მეთოდოლოგიაზე, კვლევის ხელმძღვანელობაზე და ელექტრონული სწავლებისა და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე სწავლებაში. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს საჭირო მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს სამეცნიერო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდასაჭერად,

წახალისებს მონაწილეობას კონფერენციებში, კვლევით პროექტებში და საერთაშორისო თანამშრომლობაში — განსაკუთრებით ევროპის უნივერსიტეტებთან.

ინსტიტუციური წახალისების არსებობის მიუხედავად, კვლევასთან დაკავშირებულ განვითარების აქტივობებსა და საგამომცემლო ინიციატივებში მონაწილეობა არათანმიმდევრული რჩება. აკადემიური პერსონალი სრულად არ იყენებს იმ ფინანსურ და ადმინისტრაციულ მექანიზმებს, რომლებიც სამეცნიერო პროდუქტის მხარდასაჭერად არის შექმნილი. ამ შესაძლებლობებში ჩართულობის გაძლიერება კიდევ უფრო გააუმჯობესებდა პერსონალის პროფესიულ ზრდას და ხელს შეუწყობდა კლასტერის ფარგლებში კვლევითი შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

პროგრამები სრულად შეესაბამება ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევების შედეგები.
- ტრენინგების, კონფერენციების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამების ჩანაწერები.
- კვლევის/პუბლიკაციებისთვის დაწესებული ინსტიტუციური სტიმულების დოკუმენტაცია და მათი გამოყენების შესახებ ინფორმაცია.
- საერთაშორისო პროექტებსა და სამეცნიერო საქმიანობაში პერსონალის ჩართულობის ჩანაწერები.
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაცი(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები:</p>		<p>სასურველია, გაგრძელდეს საერთაშორისო თანამშრომლობისა და კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ხოლო პერსონალის კომპეტენციების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით გაფართოვდეს მიზანმიმართული სასწავლო შესაძლებლობები.</p> <p>სასურველია, უნივერსიტეტმა გადადგას ნაბიჯები პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად, რომ ჩაერთონ კვლევაში და გამოაქვეყნონ პუბლიკაციები, რაც</p>

		გაადლიერებს პროგრამის კვლევით კომპონენტს.
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერის ფარგლებში არსებული პროგრამები მხარდაჭერილია ბიბლიოთეკის, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, რომლებიც შესაბამისი, ადეკვატური და ხელმისაწვდომია განზრახული სწავლის შედეგების მისაღწევად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, რომელიც მითითებულია კურსის სილაბუსებში. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომას, რითაც სტუდენტებსა და პერსონალს საშუალებას აძლევს, ინფორმირებულნი იყვნენ დარგში მიმდინარე სიახლეების შესახებ.

უნივერსიტეტი რეგულარულად ანახლებს თავის საგანმანათლებლო და ლაბორატორიულ ინფრასტრუქტურას. ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსები, და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან მათი ხელმისაწვდომობისა და ეფექტურად გამოყენების შესახებ. თანამედროვე ციფრული რესურსები და ლიცენზირებული საერთაშორისო მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია, რაც მხარს უჭერს კვლევით და სასწავლო საქმიანობას როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს ელექტრონული სწავლებისა და დისტანციური სწავლების პლატფორმებზე წვდომას, რაც საჭიროების შემთხვევაში იძლევა ჰიბრიდულ ან ონლაინ ფორმატებში სწავლის შესაბამისი მეთოდების უწყვეტი გამოყენების საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში პირობები დამაკმაყოფილებელია, სასურველია რამდენიმე ცვლილების განხორციელება. სამაგისტრო ნაშრომები ბიბლიოთეკაში ჯერ არ არის ელექტრონულად ხელმისაწვდომი, რაც ზღუდავს წვდომას წინა აკადემიურ ნაშრომებზე. გარდა ამისა, ადგილზე ვიზიტის დროს, კომპიუტერული ლაბორატორიები მიმდინარე მოდერნიზაციის ფარგლებში იყო რემონტის პროცესში, რამაც დროებით იმოქმედა ხელმისაწვდომობაზე. მიუხედავად ამ დროებითი შეზღუდვებისა, მატერიალური და ციფრული რესურსები რჩება საკმარისი უწყვეტი სწავლისა და პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

პროგრამები აკმაყოფილებს ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდივიდუალური შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია ადეკვატური და განახლებული მატერიალური და ციფრული რესურსებით, რომლებიც მხარს უჭერს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სასწავლო კომპონენტებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შეიცავს ძირითად და დამატებით ლიტერატურას, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, ხოლო სტუდენტებს ასევე აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებსა და სამეცნიერო ჟურნალებზე. ეს რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო მასალებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობას.

კომპიუტერული ლაბორატორიები და ტექნიკური საშუალებები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია და კამპუსის განახლების ფარგლებში მიმდინარეობს მათი შემდგომი განახლება. რემონტის პერიოდში დროებითი ხელმიუწვდომლობის მიუხედავად, ალტერნატიულმა სასწავლო ღონისძიებებმა უზრუნველყო ლაბორატორიული სწავლებისა და სასწავლო სამუშაოების უწყვეტობა. სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსებისა და მათი წვდომის შესახებ.

პროგრამა აკმაყოფილებს ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდივიდუალური შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სამაგისტრო საფეხურზე მატერიალური და ციფრული რესურსები ადეკვატურად უჭერს მხარს პროგრამის კვლევაზე ორიენტირებულ ხასიათს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას ძირითად და დამატებით მასალებზე, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებსა და უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ თავიანთ დარგში მიმდინარე უახლეს კვლევებს.

სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს აქვთ წვდომა ციფრულ პლატფორმებსა და ლაბორატორიულ რესურსებზე, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე კვლევების ჩასატარებლად, მათ შორის ონლაინ მონაცემთა ბაზებსა და ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტებზე, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მხარს უჭერს შერეულ და დისტანციურ სწავლებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებული საშუალებები, ზოგადად, საკმარისია, ადრე დაცულ სამაგისტრო ნაშრომებზე ელექტრონული წვდომის არარსებობა ოდნავ ზღუდავს საუკეთესო აკადემიური პრაქტიკის გაზიარებას. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის უწყვეტი ინვესტიცია ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განახლებასა და თანამედროვე მონაცემთა ბაზებზე წვდომის შენარჩუნებაში უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ აუცილებელი ინსტრუმენტები პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამა აკმაყოფილებს ამ ქვე-სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის კატალოგები და ლიტერატურისა და ელექტრონული რესურსების ჩანაწერები.
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომა.
- დოკუმენტაცია პროგრამებში გამოყენებული მატერიალური და ციფრული რესურსების შესახებ.
- ინფორმაცია კომპიუტერული ლაბორატორიების საშუალებებისა და სარემონტო პროცესის შესახებ.
- სტუდენტებთან და პერსონალთან რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცი(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).	რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).
--	--	--

კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები:		სასურველია, სტუდენტებისათვის სრული წვდომის აღსადგენად უზრუნველყოფილ იქნეს კომპიუტერული ლაბორატორიების შეკეთების დროული დასრულება.
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		სასურველია, უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო ნაშრომებზე ელექტრონული წვდომა ბიბლიოთეკაში, რათა კვლევის შედეგები უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

უსდ-მ კლასტერში გაერთიანებული ორივე პროგრამისთვის წარმოადგინა ბიუჯეტი, სადაც ოპტიმალური რაოდენობის სტუდენტებიდან — 10 სტუდენტიდან — შემოსავალი სწავლის საფასურიდან არის გათვალისწინებული. ფინანსური გეგმა ძირითადად ფარავს ლექტორების ხელფასებისა და კვლევითი ხარჯების დანახარჯებს. არაპირდაპირი ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასებს, ინფრასტრუქტურისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს, ასევე სხვა შესაბამის არაპირდაპირ ხარჯებს. ბიუჯეტის მიხედვით, კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის შემოსავალი შეადგენს 61 880 ლარს, ხოლო ხარჯები — 59 381 ლარს. კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სავარაუდო შემოსავალია 59 381 ლარი, ხოლო სავარაუდო ხარჯი შეადგენს 53 983 ლარს.

აკრედიტაციის ექსპერტებისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში არსებული მონაცემების მიხედვით: 4 500 ლარი განკუთვნილია ინფრასტრუქტურისთვის, 3 000 ლარი განკუთვნილია სხვა კომუნალური ან საბიუჯეტო ხარჯებისთვის, 3 000 ლარი განკუთვნილია კვლევითი საქმიანობისთვის. გასაუბრებებმა და შესაბამისმა დოკუმენტაციამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტები გამოიყოფა სხვა შესაბამისი ხარჯებისთვისაც, განსაკუთრებით პროგრამის განვითარებასთან, სტიპენდიებსა და წახალისებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტმა ასევე გამოყო წილი ფაკულტეტის ბიუჯეტში კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამებისთვის საჭირო ლიტერატურისა და სხვა მატერიალური რესურსების შესაძენად.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაცივმა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ბიუჯეტი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცი(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ,	რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ
--	---	--

	მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).	ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები:		
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით და შესაბამისი კონცეფციებით. ხარისხის შიდა სამსახური ფოკუსირებულია პროგრამის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფაზე, კვლევის განვითარების პოლიტიკასა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკაზე. ამიტომ, ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სასწავლო გეგმების, სერვისებისა და რესურსების სისტემურ კვლევებსა და შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფოკუსირებულია ყოველწლიურ კვლევებზე, რომლებშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, რათა გააანალიზოს შეფასების შედეგები ეფექტიანი მონიტორინგის შესანარჩუნებლად, სტრატეგიული განვითარების მიზნების იდენტიფიცირებისთვის და განვითარების ტენდენციების ჩამოსაყალიბებლად. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების შეფასების შესაბამისად, უნივერსიტეტში პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები, ზოგადად, გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ემყარება PDCA – „დაგეგმე – შეასრულე – შეამოწმე – იმოქმედე“ – პრინციპს. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას კონსტრუქციული შეფასების პროცესის უზრუნველსაყოფად, შესაბამისად, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. გასაუმჯობესებმა დაადასტურა, რომ თვითშეფასების პროცესმა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის შესაბამისი ამოცანების განაწილებამ უზრუნველყო გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება შეფასების პროცესის განმავლობაში და მის შემდეგ, ისევე როგორც სამომავლო განვითარების შესაბამისი შესაძლებლობების განსაზღვრა.

საჭიროებებზე დაფუძნებული და საჭიროების შეფასების კვლევები გამოიყენება ხარისხის შიდა შეფასების პროცესებში იმისათვის, რომ მიზანმიმართულად მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და ხარისხის გაუმჯობესების ინტერვენციების უზრუნველყოფა. ეს კვლევები მიზნად ისახავს სტუდენტების საჭიროებების, მოთხოვნებისა და სურვილების იდენტიფიცირებას. ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის ყოველწლიური კმაყოფილების კვლევები ტარდება პროგრამის საერთო ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

აწსუ-ში დანერგულია შიდა შემოწმების პრაქტიკა, როდესაც კოლეგები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტად მუშაობის გამოცდილება, აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამებს და ჩართულნი არიან აკადემიური პერსონალისთვის შეთავაზებულ ტრენინგებში.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- კვლევის ანგარიშები და ფორმები
- შიდა შეფასებები
- გასაუბრების შედეგები

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაცი(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები:</p>		
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)</p>		
<p>პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)</p>		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

აწსუ-ში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებით, რომელთაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უნივერსიტეტი განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, და მიღებული დასკვნები მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი განხილვისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს, რომ განხორციელებული ცვლილებები შეესაბამებოდეს მიღებულ რეკომენდაციებს.

კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამამ გაიარა გარე შეფასების ფართო პროცესი 2022 წელს, როდესაც პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადებისას. ვინაიდან კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ენაზე ახალია, უსდ-ისა და პროგრამის ხელმძღვანელებმა დაარწმუნეს ექსპერტთა ჯგუფი, რომ გათვალისწინებული იქნება მიღებული დასკვნები და განმავითარებელი შეფასების შედეგებიც.

უსდ ასევე უზრუნველყოფს ექსპერტულ შეფასებას, როგორც გარე შეფასების პროცესის ნაწილს. პროგრამა დადებითად იქნა შეფასებული ადგილობრივი დარგის ექსპერტების მიერ ალტე უნივერსიტეტიდან და საქართველოს უნივერსიტეტიდან. ძლიერ ასპექტებთან ერთად, ექსპერტებმა ასევე გამოავლინეს შემდგომი განვითარების გარკვეული პერსპექტივები, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამების თვითშეფასებაზე მუშაობის დროს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- კვლევის ანგარიშები და ფორმები
- შიდა შეფასებები
- გარე ექსპერტული შეფასება
- გასაუბრების შედეგები

<p>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</p>	<p>რეკომენდაცი(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები:</p>		
<p>პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)</p>		
<p>პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო)</p>		

საგანმანათლებლო პროგრამა)		
------------------------------	--	--

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისების გაუმჯობესების მიზნით, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასებისა და ანალიზის პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული კვლევები წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვის განხორციელების ცენტრალურ ინსტრუმენტებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასრულებისას, სტუდენტები აფასებენ კურსს შეფასების ფორმის მეშვეობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ორგანიზდება ფოკუს ჯგუფებიც. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასების კვლევები გამოიყენება გაუმჯობესებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ნაწილდება დაინტერესებულ მხარეებზე და გამოიყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.

ყოველი სემესტრის ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს

საგანმანათლებლო პროცესების გასაუმჯობესებლად. მაგისტრანტები ასევე აფასებენ ხელმძღვანელობის პროცესსა და ხელმძღვანელებს სტრუქტურირებული შეფასების კრიტერიუმების მეშვეობით. ყოველი აკადემიური წლის ბოლოს მზადდება თვითშეფასების ანგარიში, სტატისტიკური ინდიკატორების, შიდა შეფასების შედეგების, პერსონალის შეფასების, SWOT ანალიზისა და ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების გათვალისწინებით. შიდა შეფასების დასკვნების საფუძველზე, პროგრამა უმჯობესდება და იცვლება.

პროგრამა სარგებლობს იმ პრაქტიკით, რომლის ფარგლებშიც ერთი და იმავე ან მომიჯნავე პროგრამების კოლეგები აკვირდებიან სასწავლო პროცესს აუდიტორიაში. აუდიტორიაში მუშაობისა და გარემოს ურთიერთდაკვირვება და შეფასება ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას და ქმნის პლატფორმას პროგრამის პერსონალს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის.

უსდ უზრუნველყოფს შედარებით ანალიზს ადგილობრივ და საერთაშორისო ხელმისაწვდომ პრაქტიკებთან მიმართებაში, რათა შეიმუშაოს კონკურენტუნარიანი და ინდივიდუალური პროგრამა. კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ითვალისწინებს მომიჯნავე პროგრამებს შემდეგ უნივერსიტეტებში: რენის უნივერსიტეტი, „ალექსანდრუ იოან კუზას“ უნივერსიტეტი, სან დიეგოს უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი. გარდა ამისა, გასაუბრებებმა აჩვენა, რომ პროგრამები შემდგომი განვითარების მიზნით ითვალისწინებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პრაქტიკებსა და მოთხოვნებს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- კვლევის ანგარიშები და ფორმები
- შიდა შეფასებები
- გარე ექსპერტული შეფასება
- პროგრამების შიდა შეფასება
- ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცი(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).	რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები:		
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შეფასება
პროგრამა 1 (კომპიუტერული მეცნიერება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

